ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## დავით ლორთქიფანიძე: „ის, რაც რატი გაჩეჩილაძესა და ნიკა გვარამიას შორის მოხდა, მიკვირს, ადრე რომ არ მოხდა“



გვ.4

10 იანვრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

ვიქტორ ჰიუგო

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



ოთხშაბათი, 11 იანვარი, 2017

№8 (7243)

ფასი: 50 თეთრი

# „ბოკერია-უგულავას დაჯგუფებამ პარტიის ოფისიდან კომპიუტერები წაიღო“



„ვარაუდის დონეზე ვიცით, რომ 12 იანვარს გაკეთდება განცხადება და რამდენიმე დეპუტატი ფრაქცია ნაციონალურ მოძრაობას დატოვებს. შემდეგი ლოგიკური ნაბიჯი იქნება, რომ ეს ადამიანები დატოვებენ ასევე პარტიასაც. მერე ახალი პარტიის შექმნაზე იქნება თუ არა საუბარი, ალბათ, ამას თავად გაგვაცნობენ, არაფერი არ გაიყოფა, ვინც მიდის, მიდის. პარტია არ იყოფა, პარტიას ტოვებენ, მზითევში კი არავის არაფერი მიაქვს“

გვ.2



## ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიიდან დღეს 6 კაცს ავტომატურად ამოიღებენ

გვ.2

## გიგა ბუკია: „გიგი უგულავას გამოშვება ბიძინა ივანიშვილს არაფერში სჭირდება“

„ხალხს წარსულის გამოცდილება ახსოვს და ამიტომ ჰგონია, რომ სასამართლოს ვინმე მართავს“



გვ.3

## გია ვოლსკი: „პრეზიდენტის გამოსვლაში სადებატო არაფერია“



რას ელოდება პარლამენტი მარგველაშვილისგან

გვ.4

## შინ დაბრუნებულმა დათა ვანიშვილმა საკუთარი სახლი „სხვა ქვეყანაში“ აღმოაჩინა



გვ.5

## ლევან ალაფიშვილი: „მოსმენების საკითხზე მმართველ გუნდში წინააღმდეგობაა“

გვ.7



ISSN 1987-9385

## დემურ გიორხელიძე: „ლარის გამყარების ყველა რესურსი არსებობს“



გვ.6

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიიდან დღეს 6 კაცს ავტომატურად ამოიღებენ



ესენი არიან ნინო კალანდაძე, ომარ მეგრელაძე, პეტრე ცისკარიშვილი, ლევან ბეჟაშვილი, ნუგზარ წიკლაური და ეკა ხერხეულიძე

— ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიიდან 11 იანვარს ის ადამიანები ავტომატურად იქნებიან ამოღებულნი, რომლებზეც პარტიის გენერალურმა მდივანმა სერგო რატიანმა ცესკოს მიმართა.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ნაციონალური მოძრაობის წევრმა ლევან თარხნიშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, კანონმდებლობის თანახმად, თუ ცესკო არ გამართავს სხდომას აღნიშნული მიმართვის თაობაზე, 3 სამუშაო დღეში ავტომატურად ამოვარდებიან ის ადამიანები, რომლებზეც მოთხოვნა გაკეთდება.

როგორც თარხნიშვილი განმარტავს, ეს ადამიანები არიან ნინო კალანდაძე, ომარ მეგრელაძე, პეტრე ცისკარიშვილი, ლევან ბეჟაშვილი, ნუგზარ წიკლაური და ეკა ხერხეულიძე.

მისივე თქმით, ასეთი მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობა პარტიას იმ დროს აქვს, როდესაც საარჩევნო სია არააქტიურ მდგომარეობაშია.

— კანონმდებლობის თანახმად, ბლოკს, პარტიას აქვს უფლება, დადგენილი წესით, რომელიც აქვს დადგენილი თავის წესდებაში, მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ამის თაობაზე იმ პერიოდში, როდესაც სია არააქტიურია, ანუ როდესაც არ ხდება დეპუტატის ჩანაცვლება, — განმარტა ლევან თარხნიშვილმა.

მისი თქმით, ასეთი რამის განხორციელება არ შეიძლება, როდესაც არჩევნები დამთავრდება, შედეგები შეჯამდება, მაგრამ პირველი სხდომა არ არის ჩატარებული. ამ დროს ცვლილებები არ შეიძლება, ასევე არ შეიძლება მაშინ, როდესაც დეპუტატს ამა თუ იმ მიზეზის გამო სხვა ადამიანი ანაცვლებს, ანუ როდესაც სია აქტიურ მდგომარეობაშია. ნებისმიერ სხვა დროს პარტიას ან საარჩევნო ბლოკს აქვს უფლება, შეიტანოს სიაში ცვლილებები ისე, როგორც თვითონ მოესურვება.

— ჩვენი დადგენილი წესის თანახმად, აღმასრულებელი მდივანი, რომელიც ასრულებს გენერალური მდივნის ფუნქციას და არის ცესკოში საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელი, ამ შემთხვევაში სერგო რატიანი, მიმართავს ცესკოს შესაბამისი წერილით და ეს ადამიანები ამოღებული იქნებიან სიიდან.

სიიდან ამოღებისთვის ორი გზა არსებობს: ცესკო იწვევს სხდომას და ამ სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას. ეს ავტომატურ რეჟიმში ხდება ფაქტობრივად და უარის თქმა ცესკოს არ შეუძლია, თუ რაიმე კანონდარღვევა არ არის, მაგალითად, თუ არაუფლებამოსილმა პირმა მიმართა, თუმცა, როგორც წესი, ასეთ სხდომას ცესკო არ მართავს ხოლმე, ამ შემთხვევაში მუშაობს მეორე წესი, რომლის მიხედვითაც 3 სამუშაო დღეში ეს ავტომატურად განხორციელდება, — განაცხადა თარხნიშვილმა.

მისივე თქმით, ეს პრინციპი განხორციელდა პოლიტსაბჭოს იმ წევრებზე, რომლებმაც უარი თქვეს პარლამენტში შესვლაზე და რომლებმაც თავიანთი ბოიკოტით ხელი შეუშალეს იმ სხდომის ჩატარებას, რომელსაც უნდა მოემზადებინა ყრილობა.

# „ბოკერია-უგულავას დაჯგუფებამ პარტიის ოფისიდან კომპიუტერები წაიღო“

**შორენა მარსაგიშვილი**

ნაციონალურ მოძრაობაში დიდი გაყრისთვის ემზადებიან. გავრცელებული ინფორმაციით, ბოკერიას ფრთა პარტიას ხვალ, 12 იანვარს დატოვებს. ამ ფრთის ერთ-ერთი წევრი აკაკი ბობოხიძე ამბობს, რომ ისინი პარტიის სახელწოდებისთვის სასამართლოში არ იბრძვიან და, სავარაუდოდ, „ევროპული საქართველოს“ წევრები გახდებიან. ეს პარტია მათი თანამოაზრის გიგი წერეთლის მამის მიერ არის დაარსებული.

მანამდე კი ისინი შეეცდებიან, ფრაქციის თავმჯდომარეობიდან ნიკა მელია გადააყენონ. 9 იანვარს ამის გაკეთება ვერ შეძლეს. არ არის გამორიცხული, გადაყენება არც მომავალში გამოუვიდეთ, მელია თავად აპირებს გადადგომას და ახალი ფრაქციის შექმნას. ფრაქციის შესაქმნელად ხალხი უკვე მოძებნილი ჰყავს.

მელიას ადგილზე ორი კანდიდატურა განიხილება. ფრაქციას ან ირაკლი აბესაძე უხელმძღვანელებს, ან ოთარ კახიძე.

პარტია რომ ერთობას ველარ შეინარჩუნებს, ამაზე უკვე ღიად დაიწყეს საუბარი. გუშინ, 10 იანვარს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბოკერიას ფრთამ სააკაშვილის ფრთას პარტიის ოფისის დათმობა მოსთხოვა.

სააკაშვილის ფრთის წარმომადგენელმა ნინო კალანდაძემ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ პარტია არ იყოფა და, შესაბამისად, არც პარტიის ქონება გაიყოფა.

— ვარაუდის დონეზე ვიცით, რომ 12 იანვარს გაკეთდება განცხადება და რამდენიმე დეპუტატი ფრაქცია ნაციონალურ მოძრაობას დატოვებს. შემდეგი ლოგიკური ნაბიჯი იქნება, რომ ეს ადამიანები დატოვებენ ასევე პარტიასაც. მერე ახალი პარტიის შექმნაზე იქნება თუ არა საუბარი, ალბათ, ამას თავად გაგვაცნობენ, არაფერი არ გაიყოფა, ვინც მიდის, მიდის. პარტია არ იყოფა, პარტიას ტოვებენ, მზითევში კი არავის არაფერი მიაქვს, — აღნიშნა კალანდაძემ.

მზითევის თემამ ძალიან გააღიზიანა გიგი უგულავა. მისი თქმით, მზითევის თემაზე ის საუბარს არ აპირებს, რადგან საქვეყნო პრობლემას აწუხებს. თბილისის ყოფილი მერის თქმით, ქონებრივი საკითხები დღის წესრიგში საერთოდ არ დგას.

— მე საერთოდ არ ვარ ჩახედული და საერთოდ არ მაინტერესებს არანაირი ქონების საკითხები. ნინო კალანდაძემ ისაუბროს მზითევზე, მე კი ვისაუბრებ იმ პრობლემებზე, რომლებიც ჩვენს პარტიაშია. როდესაც რესურსი აღარ არის, მაშინ უმჯობესია, ყოველგვარი მზითევის გარეშე, სუფთა ხელებით დავემშვიდობოთ ერთმანეთს. მზითევისა და ჩიხტიკოპების გატანება, არა მგონია, ვინმეს სჭირდებოდეს, — განაცხადა უგულავამ.

ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში სააკაშვილის ფრთამ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ახირებულებს ოფისიდან კომპიუტერული ტექნიკა გაჰქონდათ.

პირველმა ეს ინფორმაცია ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა გაავრცელა. მისი თქმით, ბოკერიას ფრთას პარტიიდან ტექნიკა გაჰქონდა. ადვოკატმა სოციალური ქსელიდან ამ ქმედების აღკვეთა მოითხოვა.

რამდენიმე წუთში ახალი ინფორმაცია გაავრცელა „თავისუფალი ზონის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ფარნაოზ ჭკადუამ.

— ბოკერიას დაჯგუფების წევრებს პარტიის ცენტრალური ოფისიდან მუხანათურად პერსონალური კომპიუტერები და ოფისის ფოტოები მიაქვთ. ბოკერია წარმოვიდგინე იღლიაში ამოდებული პროცესორითა და კლავიატურით ხელში. მთავარია, ნათურები არ მოხსნათ და რუსის ჯარივით უნიტაზები, — დაწერა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ჭკადუამ.

პარტიიდან ნივთების გატანაზე ალიაქოთი ატეხა ყოფილმა დეპუტატმა მეგი გოცირიძემაც. მან ლამის მტრადქცეულ თანაპარტიელებს დეპუტატების მანდატების დატოვება მოსთხოვა. მისი აზრით, ახირებულებმა ფულიც უნდა დააბრუნონ.

— პარტიიდან მზითევი გააქვთ ბლუჯა-ბლუჯა (კომპიუტერები და რამე). დეპუტატის მანდატები დაიდოს და მორალური ზიანის ასანაზღაურებელი თანხა დატოვეთ, ცოტა ფრთხილად გაიხურეთ კარი, ემანდ მხოლოდ სახელურები არ შეგრჩეთ ხელში, — მიმართა ბოკერიას ფრთას გოცირიძემ.

* * *

ოფისიდან ნივთების გატანაში მხილებული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა ოპონენტებს თარიღების დასახელებისგან თავის შეკავებას ურჩევს. ის ნიკა მელიას განცხადებით იყო გაღიზიანებული, რომელმაც, თავის მხრივ, განაცხადა რომ ახირებულები პარტიას 12 იანვარს დატოვებენ.

— მელიამ პრესმდივნობასა და სხვის მაგივრად თარიღების დაანონსებას თავი დაანებოს. თუ რაიმე თარილი იქნება, ყველას გავაგებინებთ. მელიამ თავის კარიერულ წინსვლას მიხედოს და პრესმდივნობა სხვებს გადააბაროს, — განაცხადა აღშფოთებულმა ნამერალმა.



მართალია, თარიღების დაანონსება არ მოსწონს, მაგრამ პარტია რომ დაშლილია, ამას საკუთარი პირით აღიარებს.

— ეს პარტია აღარ არის ერთიანი. ის გაყოფის წინაშეა. როდესაც ადამიანები ერთმანეთს გამარჯობას აღარ ეუბნებიან, ნიშნავს, რომ ფუნდამენტური პრობლემებია. პარტიის ერთიანობის შენარჩუნების რესურსი, პრაქტიკულად, აღარ არის. არ ვადასტურებ არანაირ გაყოფას, რადგან პარტია გაყოფილი კი არა, დანგრეულია. სამწუხაროდ, ყველას ჩვენ-ჩვენი პასუხისმგებლობა გვაქვს ამ პროცესში. მე სხვა პარტიაში არ ვყოფილვარ, არასდროს ერთი პარტიიდან მეორეში, მეორედან კი მესამეში გადასვლა, გასტროლებზე რომ დადიან, არასდროს მახასიათებდა.

ჩემთვის ახალი პარტია შეიქმნა და თანამოაზრეებმა ახალი პარტია გავაკეთოთ, ძალიან რთული წარმოსადგენია. ეს არ არის ადვილი გადაწყვეტილება. საზოგადოებას უნდა აუხსნა, თუ რატომ კეთდება ეს, მაგრამ, მეორე მხრივ, როდესაც, უბრალოდ, წინსვლა, პროგრესი შეუძლებელია, როდესაც დაიხშობა თავისუფლების სივრცე, მაშინ შენ უნდა მიიღო გადაწყვეტილება, სად დარჩები — აირჩევ პროგრესს, თავისუფლებას თუ გადაეშვები ნაციონალურ, პოპულისტურ დემაგოგიაში, რომელიც საზოგადოებას არაფერს მოუტანს, — აღნიშნა უგულავამ.

მის განცხადებას სასწრაფო წესით გამოეხმაურა პრესმდივნობაში მხილებული ნიკა მელია და პრესისთვის მორიგი განცხადება გააკეთა.

მან თბილისის ყოფილი მერია პარტიაში არსებულ ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით 20 იანვრის ყრილობაზე დაიბარა. მელია ამბობს, რომ იქ უგულავა დაინახავს, პარტია დანგრეულია თუ არა.



— მას შემდეგ, რაც ბოკერიას ჯგუფმა პოლიტიკურ საბჭოზე კენჭისყრა წააგო და გადაწყდა, რომ ყრილობა ჩატარდება 7.000 დელეგატის თანამონაწილეობით, სადაც მათი ვერცერთი წინადადება ვერ იქნებოდა გატანილი და ვერ გაიმარჯვებდნენ 20 იანვარს, პარტიიდან გასვლის თაობაზე მათ დაიწყეს გეგმის შემუშავება.

პარტიაში დიდმა ნაწილმა ვიცით, რომ ბოკერიას გუნდს გადაწყვეტილი აქვს გასვლა, ვინაიდან მათ აღარ აქვთ შანსი, იყვნენ 4 წლის განმავლობაში პარტიის მართვის სადავეებთან, რადგანაც 7.000 დელეგატი ნამდვილად არ აირჩევს ბოკერიას გუნდს მომდევნო 4 წლის განმავლობაში, რომ დარჩეს მართვის სადავეებთან.

თვეების წინ ერთი ადამიანი ამბობდა, რომ პარტია გაქრა რადარებიდან და აღმოჩნდა, რომ პარტიამ ნახევარი მილიონი ხმა აიღო. ახლა გამოჩნდა ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ პარტია თურმე დანგრეულია. მოვიდეს ბატონი უგულავა 20 იანვარს ნაციონალური მოძრაობის ყრილობაზე და თავად ნახავს, დანგრეულია ეს პარტია თუ აღორძინების გზას ადგას, — განაცხადა ნიკა მელიამ.

ყოფილი დეპუტატი და ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი დავით კირკიტაძე ამბობს, რომ ბოკერიას ფრთამ პარტიის დატოვება რამდენიმე თვის წინ გადაწყვიტა და უკვე წასულებიც იქნებოდნენ, მაგრამ დავით ბაქრაძისგან რაღაცას ელოდებიან.

— მას შემდეგ, რაც ეს ჯგუფი პოლიტსაბჭოზე დამარცხდა და ჩვენი მხარდამჭერებისთვის საკუთარი აზრის თავზე მოხვევა ვერ შეძლეს, პარტიის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს. ეს გადაწყვეტილება ძალიან დიდი ხანია, მათ მიღებული აქვთ. ამ გადაწყვეტილებას დღეს მხოლოდ ერთი რამ უშლის ხელს, საქართველოში არ არის დათო ბაქრაძე, — აღნიშნა ნიუპოსტთან საუბარში დავით კირკიტაძემ.

* * *

პოლიტიკური პლატფორმა „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ამბობს, რომ ნაციონალების შესანიშნავი სამეული უკვე მზად არის პარტიის ლიკვიდაციისთვის.

— გოგორიშვილი, მაჭავარიანი, გაბაშვილი რომ ცნობილი ლიკვიდატორები არიან, ეს არ არის ახალი ამბავი. თავის დროზე, ფაქტობრივად, იმავე სცენარით გამოხრეს, გამოწურეს, გამოიყენეს შევარდნაძე, მამალაძე და მოქალაქეთა კავშირი, რის შემდეგაც გამოხრული, შეჭმული, გაბანძებული პარტია შეატოვეს მაშინდელ პრეზიდენტს.

დღეს ამ გუნდის წევრებმა გააკეთეს განცხადება, რომ ენმ გაყოფილი კი არა, განადგურებულია, არადა, პარტიის ხელმძღვანელობაში თავად არიან. პარტიის მართვის სადავეები რომ შენს ხელშია, აღმასრულებელი მდივანი რომ შენი გუნდის წევრია, თბილისის პარტიის თავმჯდომარე რომ შენს ფლანგზეა, პარტიული სია რომ თავად დაწერე, პარტიის გენერალური მდივანი და მისი გუნდიც იზიარებს შენს პოზიციას და ამ დროს პარტიის დანგრევა და ამ დონემდე მიყვანა ვისი ბრალია? — კითხულობს „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

მისი თქმით, ნაცმოძრაობის ლიკვიდაცია ძველი სცენარით მიმდინარეობს და განსხვავება მხოლოდ მოტივაციაშია.

— საოცრება და სასაცილოა იმ ფლანგის პოზიცია, რომელიც არჩევნებამდე გარიგებაში შევიდა ამ ლიკვიდატორებთან და, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი იყო მათი დამოკიდებულებები და შეხედულებები, შეჰყვნენ ამ ბინძურ თამაშში, რითაც საშუალება მისცეს ივანიშვილს, ენმ-ს სახელით პარლამენტში რიგი „გამპრავებლებისა“ შეეყვანა და პლუს ენმ დაეშალა, — აღნიშნა ხაბეიშვილმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიგა ბუკია: „გიგი უგულავას გამოშვება ბიძინა ივანიშვილს არაფერში სჭირდება“

## „ხალხს წარსულის გამოცდილება ახსოვს და ამიტომ ჰგონია, რომ სასამართლოს ვინმე მართავს“

მარიამ მჭედლიშვილი

**მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა" საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელს, ფრაქცია კონსერვატორების ლიდერ გიგა ბუკიას ესაუბრა.**

***– პარლამენტში თავის ფრაქციას ქმნის ნაციონალების სხვა ნაწილისაგან გამიჯნული ნიკა მელია. რითი იქნება ეს ფრაქცია ნაციონალების დანარჩენი ორი ფრაქციისგან განსხვავებული?***

– მელია სააკაშვილის აქტიურ მომხრედ მოგვევლინა. ამიტომ მისი ფრაქციის საქმიანობა ისეთივე რადიკალური იქნება, როგორ განცხადებებსაც აკეთებდა სააკაშვილი წინასაარჩევნოდ და არჩევნების შემდეგ. ფრაქციის შემადგენლობის შესახებ ვრცელდება ინფორმაცია, მაგრამ ზუსტად მაინც არ ვიცით, ვინ შევა მასში. ნებისმიერ შემთხვევაში, მელია ეცდება, მიიპყროს სააკაშვილის მომხრეების ყურადღება.

ნაცმოძრაობის ეს ნაწილი შეეცდება, შთაუნერგოს მომხრეებს, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში დაბრუნდება. ცხადია, სააკაშვილი ამას ვერ შეძლებს არჩევნების გზით. მას საამისოდ აპრობირებული გზები აქვს შემუშავებული.

***– მელიას ფრაქცია შეეცდება, არ დაკარგოს სააკაშვილის ამომრჩეველი?***

– დიახ. ეს ადამიანები დანერგავენ აზრს, რომ სააკაშვილი დაიბრუნებს ძალაუფლებას. ეს არარეალურია. არჩევნების წინ სააკაშვილმა დიდი ძალისხმევით მოახდინა თავისი მომხრეების მობილიზება. ის ამ მიზნით ხან გვირაბს თხრიდა და ხან მოცურავდა. ამ მეთოდებით ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო ხმები. სააკაშვილს უნდა, რომ არ გაქრეს პოლიტიკური სცენიდან. უკრაინაში მან სრული ფიასკო განიცადა. იქ მას მომხრეები არ ჰყავს. სააკაშვილის მიზანია, არ გაქრეს საქართველოს პოლიტიკიდან.

***– ამ დღეებში სააკაშვილმა გამოთქვა იმედი, რომ ბიძინა ივანიშვილი მას საქართველოში ჩამოსვლის და 20 იანვარს ნაცმოძრაობის ყრილობაზე დასწრების უფლებას მისცემს.***

– ამ შემთხვევაში სააკაშვილი გულწრფელი იყო. მისი პრეზიდენტობისას ყველა სტრუქტურა და ორგანო მისი ნებით და მითითებით მოქმედებდა. პიროვნების ჩამოსვლა, გათავისუფლება, თუ დასჯა მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული. სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ დღესაც ასეა და მისი საქართველოში ჩამოსვლა რომელიმე ერთი ადამიანის მითითებით მოხდება.

ამით მოხდა მისი თვითლუსტრირება. სააკაშვილი ძებნილია. სამართლებრივი საქმეები პროკურატურისა და სასამართლოს სფეროებს მიეკუთვნება. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი უზრუნველყოფს პროკურატურის დამოუკიდებლობას. ჩვენ ვახორციელებთ სასამართლო რეფორმის მესამე ტალღას. ეს იმისთვის ხდება, რომ ერთი ადამიანი და ადამიანთა ჯგუფი არ წყვეტდეს სამართლებრივ საკითხებს.

***– აღნიშნეთ, რომ სასამართლო დამოუკიდებელია. ამ დღეებში საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს ამაში ეჭვი შეეპარა. ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ გიგი უგულავა ვადამდე ციხიდან არა სააპელაციო სასამართლომ, არამედ, ბიძინა ივანიშვილმა გამოუშვა.***

– საზოგადოებას ახსოვს სააკაშვილის მმართველობის პერიოდი, როცა ყველაფერს ერთი კაცი წყვეტდა და სასამართლოსაც ის აძლევდა დავალებებს. ხალხსაც უჭირს იმის დაჯერება, რომ სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს.

***– საუბარია გარიგებაზე გიგი უგულავას გამოშვების თაობაზე.***

– სასამართლოს საქმეში ჩარევა და გიგი უგულავას გამოშვება ბიძინა ივანიშვილს არაფერში სჭირდება. არჩევნებიც ჩავლილია. წინასაარჩევნო პერიოდი რომ იყოს, შეიძლებოდა ეს ვინმეს პოლიტიკურ ჟესტად მოენათლა.

***– არსებობს აზრი, რომ გიგი უგულავასაგან ოპოზიციონერი ლიდერის შექმნა უნდათ.***

– თუ ვინმეს ეს უნდა, მაშინ ის ციხეში უნდა დაეტოვებინა. საპატიმროში ყოფნა პოლიტიკურ ლიდერს ყოველთვის მომგებიან პოზიციაში ამყოფებს. ეს ლიდერს ქულებს მატებს. უგულავას ლიდერობა რატომ უნდა შედიოდეს ბიძინა ივანიშვილის ინტერესებში? სასამართლომ ის თავის დროზე დააპატიმრა კონკრეტული დანაშაულის გამო. დღეს სასამართლომ მას სასჯელი შეუმცირა.

***– დაცარიელებულ პოლიტიკურ ველზე ცვლილებები არ ჩანს. ახალი ძალები, ჯერჯერობით, ნაცმოძრაობის შემადგენლობიდან იქმნება. სიახლეები იქნება?***

– ცარიელი ადგილი თავისუფალი დიდხანს არ დარჩება. ის, ალბათ, შეივსება. არჩევნებმა აჩვენა, რომ მოსახლეობამ არ გამოუცხადა ნდობა ოპოზიციურ პარტიებს. როგორც ჩანს, ოპოზიციისგან ადამიანებს უნდათ კონკრეტული საქმეები, წინადადებები და არა მჯიღის ცემა. ალბათ, ოპოზიციაში მოხდება გადაჯგუფებები, ხედვების მკაფიოდ წარმოჩენა. ამას მოჰყვება ცვლილებები.



***– დავით უსუფაშვილი მალე აპირებს თავისი პოლიტიკური გეგმების წარმოდგენას.***

– დავით უსუფაშვილს აქვს პოლიტიკური და ინტელექტუალური რესურსი, რომ სიახლეები შესთავაზოს საზოგადოებას. ის შეეცდება თავისი მომხრეების დაინტერესებას. მასშტაბური იქნება თუ არა ეს დაინტერესება, ეს სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის იმაზე, თუ ვისთან აპირებს ის გაერთიანებას.

# იანოშ ჰერმანი: „მიგრაცია ევროკავშირის სერიოზული გამოწვევაა“



საქართველოს დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ზვიად კვაჭანტირაძე საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელ იანოშ ჰერმანს შეხვდა.

საუბარი იმ ინტერესებს შეეხო, რომლებიც ევროკავშირს საქართველოსთან, კონკრეტულად, მიგრაციის საკითხებთან მიმართებით გააჩნია.

იანოშ ჰერმანის განცხადებით, მიგრაცია ევროკავშირის ქვეყნებისთვის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა და ევროკავშირი დაინტერესებულია ამ მიმართულებით საქართველოს როლითა და შესაძლებლობებით.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, ამ საკითხს ერთი კოორდინატორი ჰყავდეს პარლამენტში.

როგორც ზვიად კვაჭანტირაძემ აღნიშნა, პარლამენტში ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს და მიგრაციული თემატიკის და მასთან დაკავშირებული საკითხების კონცენტრირება სწორედ დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტში მოხდება.

იანოშ ჰერმანი დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმითა და პრიორიტეტებითაც დაინტერესდა.

მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და შეთანხმდნენ, რომ მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრები გაიმართება.

– საქმიანი ურთიერთობა ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან წლებია, საინტერესო და მნიშვნელოვანია. დღევანდელ შეხვედრაზეც პარლამენტის კომიტეტსა და ევროკავშირის წარმომადგენლობას შორის სხვადასხვა საკითხებზე თანამშრომლობის პერსპექტივები განვიხილეთ, – განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ ზვიად კვაჭანტირაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# პარტიების შემოწირულებებმა 2016 წელს 34 მილიონი ლარი შეადგინა

პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულმა შემოწირულებებმა 2016 წელს ჯამში 34.465.034,50 ლარი შეადგინა.

აქედან ყველაზე მეტი – 22.995.584,00 ლარი „ქართულმა ოცნება – დემოკრატიულმა საქართველომ“ მიიღო.

ამის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკაშია ნათქვამი, რომელიც პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ 2016 წელს მიღებულ შემოწირულებებს მოიცავს.

შემოწირულებების მიხედვით მეორე ადგილზეა მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის – 4.491.467,43 ლარი.

შემდეგ ადგილებს იკავებენ:

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – 1.644.168,80

ნაციონალური მოძრაობა – 1.126.691,35

თავისუფალი დემოკრატები – 718.690.00

ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი – 626.520,90

სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველო – 373.966,50

ილია კოკაია, დამოუკიდებელი დეპუტატი – 337,400.00



ვასილ ხანიშვილი, დამოუკიდებელი კანდიდატი – 304.840,00

ცეზარ ჩოჩელი, დამოუკიდებელი კანდიდატი – 280,000,00.

ამასთან, აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, შემოწირულებები განხორციელდა 2.854-ჯერ, საიდანაც 186 არის საწევრო შენატანი, 95-ჯერ დაფიქსირებულია იურიდიული პირის შემოწირულება, ხოლო 204-ჯერ – არაფულადი შემოწირულება.

სულ შემოწირულებები მიღებულია 79 იურიდიული პირისგან, ჯამში 4.026.580,00 ლარის ოდენობით.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველო რუსეთს: „შეწყვიტეთ აფხაზეთში კულტურული ძეგლების დაზიანება და განადგურება!“






საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული ძეგლების დაზიანებისა და განადგურების პრაქტიკა.

როგორც საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, რუსული და აფხაზური წყაროებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის 3 იანვარს აფხაზეთის რეგიონში რუსეთის საოკუპაციო ძალებმა სამხედრო პოლიგონის მომზადების მიზნით გაანადგურეს გულრიფშის რაიონის სოფელ წებელდასთან არსებული მრავალფენიანი არქეოლოგიურ-არქიტექტურული ძეგლი – VIII-IX და გვიანი შუა საუკუნეების ნასოფლარი, სამაროვანი, ეკლესიის ნანგრევი და ასევე XX ს-ის შუა ხანების პოლონელთა სასაფლაო.

საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების მორიგ ფაქტს, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას და მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული ძეგლების დაზიანებისა და განადგურების პრაქტიკა.

აღნიშნული უკანონო ქმედება კიდევ ერთხელ მიანიშნებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ უმძიმეს მდგომარეობაზე.

* * *

პრეზიდენტი აფხაზეთში რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ეკლესიისა და სასაფლაოს დანგრევას ვანდალიზმს უწოდებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურიდან აცნობეს.

– გამოვხატავთ უკიდურეს აღშფოთებას რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალების მიერ აფხაზეთში, სოფელ წებელდაში ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების განადგურებასთან დაკავშირებით.

სამხედრო პოლიგონის მოწყობის მიზნით რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა დაანგრიეს მე-19 საუკუნის ეკლესია და პოლონელთა ისტორიული სასაფლაო.

ეს არის შეგნებულად განხორციელებული ვანდალიზმის აქტი, რაც უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმების, მათ შორის ჰააგის 1954 წლის კონვენციის პირობებს.

მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, სათანადოდ შეაფასონ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული უკანონო ქმედებები და მოახდინონ მათზე შესაბამისი რეაგირება, – აღნიშნულია საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დავით ლორთქიფანიძე: „ის, რაც რატი გაჩეჩილაძესა და ნიკა გვარამიას შორის მოხდა, მიკვირს, ადრე რომ არ მოხდა“

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ ნაციონალებში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.**



***— ბატონო დავით, მიმდინარეობს ნაციონალების დაშლისა თუ გაშლის პროცესი. როგორ ფიქრობთ, ნაციონალების დაშლით ქართულ პოლიტიკურ სპექტრს რაიმე დააკლდება?***

— ნაციონალური მოძრაობა დაიშლება, გაიშლება თუ აიშლება, ქართველი საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ამ ე.წ. პოლიტიკურმა ძალამ ძალიან ბევრი ნეგატივითა და დანაშაულით დაგვამახსოვრა თავი. ახლა ვინ რომელ მხარეს დადგება, ვინ უფრო მეტი იქნება, ვინ — ნაკლები, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ნაცმოძრაობა არანაირი პერსპექტივის მატარებელი პოლიტიკური ძალა არ არის და ვერც იქნება.

ქვეყანაში სერიოზული ოპოზიციური ძალა უნდა ჩამოყალიბდეს, მაგრამ ნაციონალები სერიოზულ ოპოზიციურ ძალად ველარ ჩამოყალიბდებიან.

***— ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილი აქტიურად მუშაობს თავისი მორჩილი ოპოზიციის შექმნაზე. იგულისხმება მომავალში ნაცმოძრაობის განაყოფისგან მორჩილი ოპოზიციური ძალის ჩამოყალიბება. ამაზე რა შეგიძლიათ თქვათ?***

— ნაციონალურ მოძრაობაში კომიკური სიტუაციაა შექმნილი. ერთი ნაწილი ამბობს, რომ მეორე ნაწილს ბიძინა ივანიშვილი მართავს. მეორე ნაწილიც ამბობს, რომ პირველ ნაწილს ბიძინა ივანიშვილი მართავს. ყველაფერი აბსურდის თეატრს ემსგავსება.

20 იანვარს ყრილობაზე ვინ ვის დაამარცხებს, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. პოლიტიკურმა ძალებმა საკუთარ თავში უნდა მოძებნონ ძალა, ერთმანეთთან დალაპარაკება შეძლონ, რათა ამომრჩეველმა დაინახოს, რომ მათი პოლიტიკური გაერთიანებისთვის მიცემული ხმები საზოგადოებისთვის არ იქნება ჰაერში გაბნეული. სამწუხაროდ, არსებობს ზოგიერთი ძალა, რომელსაც ნაციონალებთან თანამშრომლობის რეჟიმში წარმოუდგენია თავი. ქვეყანაში რეალური ოპოზიციური ძალა უნდა იყოს.

***— ასე მწვავედ რატომ უპირისპირდებიან ერთმანეთს ერთ დროს შეხმატკბილებული სააკაშვილის პარტიის წევრები?***

— თითოეული ცდილობს, რომ ის ნიშა, რომელიც აქვს ნაცმოძრაობას, მას დარჩეს. ახლა არის ლიდერის გამოჩენის მცდელობა. მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მოქალაქე აღარ არის. მას აღარ აქვს საქართველოში პოლიტიკური მოღვაწეობის კანონიერი უფლება, ამიტომ ადამიანებს გაუჩნდათ სურვილი, იყვნენ ამ ძალაზე აღმოცენებული ოპოზიციური ძალის ლიდერები. მათ უნდათ სიკეთეები, ბიუჯეტიდან დაფინანსება და სხვ. ამას სასიკეთო საქმეებისთვის რომ არ აკეთებენ, უდავოა. იქიდან გამომდინარე, წლების განმავლობაში რაც გააკეთეს, ორივე ნაწილი ძალიან დაზიანებულია.

***— დაზიანებული?***

— დიახ. ბოკერია იქნება თუ სხვა, გაკეთილშობილებას რომ ვერ მოახერხებენ, ფაქტია. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის მომხრეებში არის პაატა ლეჟავა, რომელიც ვანის მაჟორიტარი დეპუტატი იყო ნაცებიდან, ჩართული იყო 26 მაისის აქციის დარბევისას ჯალათურად მოკლული სულიკო ასათიანის ოჯახის შანტაჟსა და ტერორში.

ოჯახმა ამასთან დაკავშირებით მოკრძალებულად გააკეთა რეაქცია, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, სულიკო ასათიანის მეუღლემ ამის თაობაზე პროკურატურას ჩვენება მისცა. ამიტომ ლეჟავას მსგავსი ტიპები რომელ მხარეს იქნებიან, ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს? დამნაშავე დამნაშავეა.

***— ნაცმოძრაობის დაშლას, ალბათ, ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ნატრობდა. თქვენ ნაცმოძრაობის დაშლაში ბიძინა ივანიშვილის როლს გამორიცხავთ?***

— ნაცმოძრაობის დაშლაში ბიძინა ივანიშვილის როლს ვხედავ, იმის გათვალისწინებით, რომ ბიძინა ივანიშვილმა 2011 წლის ოქტომბერში განაცხადა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კავშირშია ერთმანეთთან.

***— იმ დღიდან დაიწყო ნაცმოძრაობის დაშლა?***

— იმ დღიდან დაიწყო ნაცმოძრაობის დამარცხება. ახლა ნაცმოძრაობა მიდის იმ დასასრულისკენ, რომელიც მას ეკუთვნის, მაგრამ დროის საკითხია. მოგეხსენებათ, 2011 წელს რა პროცესები მიმდინარეობდა. ახლა ნაცმოძრაობა ცდილობს, გაკეთილშობილებულად წარმოგვიდგეს. მე 11 ნოემბერს შევიტანე „ქართუ ბანკში“ თანხა. გახსოვთ, ალბათ, ლარი და 2 ლარი რომ შეჰქონდათ მოქალაქეებს. ნაცმოძრაობის გაკეთილშობილებას ცდილობენ, 2011 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, მაგრამ 2012 წელს იმისთვის, რაც მათ გააკეთეს, ქართველმა ხალხმა პასუხი გასცა. „ქართული ოცნების“ სულისჩამდგმელი იყო ბატონი ბიძინა ივანიშვილი. ბიძინა ივანიშვილის როლი ამაში რომ გამოვრიცხოთ, სწორი არ იქნება.

***— დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებას საყვედურობენ სამართლიანობის აღდგენის ნელი ტემპის გამო. ამ კონტექსტში ახლახან რატი გაჩეჩილაძესა და ნიკა გვარამიას შორის მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ნიკა გვარამიას კომენტარი მინდა გავიხსენო. ის თავის გენპროკურორად მუშაობის პერიოდსა და მის მიერ ჩადენილ საქმეებს მოღვაწეობას უწოდებს. ამას როგორ აფასებთ?***

— ნიკა გვარამია ყოველთვის იყო ნაცმოძრაობის სახე. ის იყო ავტორი და რეჟისორი მათი დანაშაულებრივი საქმეებისა. გვარამია არის გენდირექტორი ტელევიზიისა, რომლის ნაცმოძრაობის სამსახურში ჩაყენებას მაქსიმალურად ცდილობს. მე მის საქმიანობას მოღვაწეობას ვერ დავარქმევ. ის, რაც რატი გაჩეჩილაძესა და ნიკა გვარამიას შორის მოხდა, მიკვირს, ადრე რომ არ მოხდა.

***— საზოგადოება ძალადობას გმობს. საშიშია, თვითონ ადამიანებმა არ დაიწყონ სამართლიანობის აღდგენისთვის მოქმედებები.***

— ძალადობის წინააღმდეგი ყველა ვართ, მაგრამ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოკლე მეხსიერება არ გვაქვს, თან სამხრეთელი ხალხი ვართ, ცხელსისხლიანი ხალხი, შეურაცხყოფასა და წყენას ადვილად არ ვივიწყებთ. რაც ნაცებმა დამართეს საქართველოს, იმის დავიწყება ჭირს. ამიტომ ნაცმოძრაობის ძველი და ახალი სახეები უნდა იყვნენ მაქსიმალურად ფრთხილად გაჩეჩილაძეებთან. კნინობით ფორმაში პიროვნების მოხსენიება ადამიანზე მოქმედებს. რატი არ არის საჯარო პირი და არ აქვს თმენის ვალდებულება. არ გახლდით თბილისში, თორემ სასამართლო პროცესზე აუცილებლად მივიდოდი ჩემი პოზიციის დასაფიქსირებლად.

მე ვემიჯნები ნაცმოძრაობის თავხედურ საქციელს, როგორც იქცეოდნენ მთელი წლების განმავლობაში და დღევანდელ კეკლუცობას, რითაც ახლა არიან დაკავებული. დიდი ხანია, დრო მოვიდა, ბოდიში მოუხადონ ქართველ საზოგადოებას, თუმცა, მე მათი ბოდიში არაფრად მიჩანს. ჩემნაირი ასიათასობით ადამიანია საქართველოში, რომლებსაც ნაცების ბოდიში არაფრად მიაჩნიათ.

***— თქვენ ლეჟავა გააიგივეთ ნაცებთან.***

— ნაცმოძრაობის ლიდერები გაიგივებული არიან სისხლიან ტერორთან. ლეჟავას შესახებ საზოგადოებას არ გაუგია, მაგრამ ისიც კი ასეთი საქმეებით იყო დაკავებული.

***— ყველა გასვრილია, ვისაც ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ნაცების დროს?***

— დიახ, ყველა გასვრილია, მაგრამ საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია. ლეჟავების მსგავსი პირებით არის გავსებული ნაცმოძრაობა. ისინი ფარულად უფრო მეტ ბოროტებას ჩადიოდნენ.

***— საზოგადოებაში ხშირად ისმება კითხვა, რატომ არ არიან დამნაშავეები დაკავებული. 3 კაცი დააკავეს, აქედან ერთი უკვე გამოუშვეს, უგულავა.***

— საზოგადოებას აქვს უფლება, ასეთი კითხვები ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ მათივე მეთოდებით ვერ ვიმოქმედებთ, ადამიანებს რომ აშანტაჟებდნენ, ან ციხე, ან ჩვენებაო. ეს არის პროცესი, რომელიც დროშია გაწელილი.

ვინმეს ჰგონია, რომ უგულავა პოლიტპატიმარია? ამ ადამიანმა სასამართლო პროცესზე თვითონ აღიარა, რომ 8 ათასამდე თავისი აქტივისტი თურმე შეცდომით უზრუნველყო ანაზღაურებით. ფაქტობრივად, მან სასჯელი მოიხადა. მან იმ დანაშაულისთვის პასუხი აგო, რაც ჩაიდინა. სხვა საკითხებზე მიმდინარეობს გამოძიება და საუბრები იმაზე, რომ უგულავა პოლიტპატიმარი იყო, ფუჭია.

***— როგორი სიხარულით უყრიდნენ ფულებს ბანკომატებიდან, ხომ გვახსოვს?***

— ეს უნდა შევახსენოთ ადამიანებს, რადგან ავიწყდებათ. ამიტომ საშიშროება არსებობს, ერთ დღეს ის ადამიანები, რომლებიც დამნაშავეები არიან, პატიოსნები აღმოჩნდნენ, ისინი კი, ვინც მათ ვებრძოდით, დამნაშავეებად გამოგვიყვანონ.

# გია ვოლსკი: „პრეზიდენტის გამოსვლაში სადებატო არაფერია“

## რას ელოდება პარლამენტი მარგველაშვილისგან

შორენა მარსაგიშვილი

**საკანონმდებლო ორგანო პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენებისთვის ემზადება. გიორგი მარგველაშვილი პარლამენტის წინაშე თებერვალში წარდგება. ოპოზიცია, ტრადიციულად, ითხოვს, რომ პრეზიდენტის მოხსენების შემდეგ პოლიტიკური დებატები გაიმართოს.**







პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, პრეზიდენტი პარლამენტში სიტყვით საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების პირველ დღეს გამოდის.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივან ანა დოლიძის განცხადებით, მარგველაშვილის მოსმენის თარიღს პარლამენტის ბიურო დაადგენს.

— ამ თემაზე საგაზაფხულო სესიის დასაწყისშივე კონსულტაციები გაიმართება პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, — აცხადებს ანა დოლიძე ჟურნალისტებთან საუბარში.

მისივე თქმით, ქვეყნის პირველი პირის წლიური ანგარიში ასახავს ყველა იმ მნიშვნელოვან თემას, რომლებიც ქართველ ხალხს ადარდებს.

— პრეზიდენტის გამოსვლასთან დაკავშირებით ჯერ საქართველოს პარლამენტთან კონსულტაციები არ დაგვიწყია. როგორც კი გვექნება ამასთან დაკავშირებით განვითარება, საზოგადოება ამას დროზე გაიგებს. ბუნებრივია, საკითხები ასახავს ყველა იმ მნიშვნელოვან თემას, რომლებიც ქართველ ხალხს ადარდებს. კონკრეტულად ეს რით გამოიხატება, დღეს ვერ გეტყვით, — აღნიშნა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა.

საკანონმდებლო ორგანოში გიორგი მარგველაშვილის გამოსვლებს ყოველთვის სკანდალები სდევს თან. სავარაუდოდ, არც ეს გამოსვლა იქნება გამონაკლისი.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ახლაბედა დეპუტატი სოფიო კილაძე იმედოვნებს, რომ პრეზიდენტი თავის ყოველწლიურ ანგარიშში კონსტრუქციული იქნება და ობიექტურობას შეინარჩუნებს.

კილაძის განცხადებით, თუ პრეზიდენტი ობიექტური იქნება, საპარლამენტო უმრავლესობა მასთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის ღიაა.

— უმრავლესობის მხრიდან შეთავაზებულია ძალიან კონსტრუქციული თანამშრომლობა და ჩვენ ამ თანამშრომლობისთვის ყოველთვის ღია ვართ. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მივაღწევთ იმ მიზნებს, რომლებიც ყველას ერთად გვაქვს. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტის გამოსვლაც იქნება კონსტრუქციული, თუმცა, ეს არ გამორიცხავს კონსტრუქციულ კრიტიკულ მოსაზრებებსაც. ზოგადად, ობიექტურობა რომ იქნეს მისი მხრიდანაც შენარჩუნებული, ეს, ალბათ, მნიშვნელოვანი იქნება, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კილაძემ.

კონკრეტულად რაზე ისაუბრებს პრეზიდენტი, ეს დეტალურად არც პარლამენტის ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ იცის. მას გონივრული ეჭვი აქვს, რომ ყოველწლიური მოხსენებით წარდგენისას მარგველაშვილი ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაზე, ასევე ეკონომიკაში გამოწვევების საკითხზე ისაუბრებს.

ამასთან, ის დებატების კატეგორიული წინააღმდეგია.

— მთავარი თემები რა შეიძლება იყოს, ეს პრეზიდენტს უნდა ჰკითხოთ. მაინც ვფიქრობ, საუბარი იქნება დღევანდელ გამოწვევებზე, ამ გამოწვევების საშინაო ეკონომიკაზე გავლენაზე, ჩვენი უსაფრთხოების სისტემაზე და, ალბათ, კიდევ ბევრ სხვას დაუმატებს პრეზიდენტი, თუმცა აქ სადებატო არაფერია, — აღნიშნა გია ვოლსკიმ.

ჯერჯერობით არც ის არის ცნობილი, დაესწრებიან თუ არა მთავრობის წევრები პრეზიდენტის გამოსვლას.

არსებული ინფორმაციით, თავის გამოსვლაში მარგველაშვილი საკონსტიტუციო ცვლილებებზეც ისაუბრებს. „ქართულ ოცნებას“ კონსტიტუციაში შეაქვს ცვლილება და პრეზიდენტის არჩევის წესს ცვლის. თუ „ოცნებამ“ თავისი გაიტანა, მომავალ პრეზიდენტს არა ხალხი, არამედ პარლამენტი აირჩევს.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ვარაუდობს, რომ ამ ცვლილებების ძალაში შესვლის შემთხვევაში მარგველაშვილმა, შესაძლოა, პრეზიდენტის პოსტი დატოვოს.

# შინ დაბრუნებულმა დათა ვანიშვილმა საკუთარი სახლი „სხვა ქვეყანაში“ აღმოაჩინა




ამერიკულმა ტელეკომპანია სიენენმა 9 იანვარს ეთერში გადასცა ვრცელი ვიდეოსიუჟეტი, რომელშიც ასახულია საქართველოში, გორის რაიონში მდებარე სოფელ ხურვალეთში მცხოვრები 82 წლის დათა ვანიშვილის დრამატული ბედი – მისი საცხოვრებელი სახლი იმ საოკუპაციო ხაზის (მავთულხლართების) მიღმა აღმოჩნდა, რომელიც რუსმა სამხედრო მოსამსახურეებმა შექმნეს.

– ხუთი წლის წინ დათა ვანიშვილი თავისი სახლიდან სოფელში მცირე ხნით გავიდა, ხოლო როცა დაბრუნდა, ნახა, რომ მისი სახლი უკვე „სხვა ქვეყნის“ ტერიტორიაზეა, – ნათქვამია ტელესიუჟეტში.

საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი გთავაზობთ სიუჟეტის რეზიუმეს.

* * *

დათა ვანიშვილმა მთელი თავისი ცხოვრება საქართველოში გაატარა მანამ, სანამ ერთ დღეს არ გაიგო, რომ მისი სახლი თურმე საქართველოში კი აღარ არის, არამედ – რუსეთის მიერ წართმეულ ტერიტორიაზე. მონიტორინგი მოწმობს, რომ რუსების მიერ გატარებული „საზღვარი“ საქართველოს სიღრმეში მოიწევს და სულ უფრო მეტ ტერიტორიას იტაცებს. დათა ვანიშვილი საკუთარ სახლში პატიმრად იქცა.

მოხუც გლეხს ხელში ნაჯახი უჭირავს, თოვლში დადის და ხეებს ტოტებს აჭრის, შეშას იმარაგებს გასათბობად – საქართველოში ცივი ზამთარია დამდგარი.

– ისინი მე მიმოსვლის საშუალებას არ მაძლევენ. არც საჭმელი და არც სასმელი, პურიც კი არ მაქვს. ვარ გაზისა და ელექტროდენის გარეშე. რა ვქნა, კაცო, თავი მოვიკლა? – ამბობს დათა ვანიშვილი, რომელიც გაყინული კონფლიქტის, „მცოცავი საზღვრის“ („საოკუპაციო ხაზის“) მსხვერპლს წარმოადგენს.

– მე რომ ახლა ამ მავთულხლართზე გადმოვიდე, რუსები დამიჭერენ, ჯარიმას გადამახდევინებენ. ისინი თვალს მადევნებენ. ჩემი ცხოვრება დღითიდღე უარესდება. თუ შეგიძლიათ, იქნებ როგორმე დამეხმაროთ, – ითხოვს დათა ვანიშვილი „საზღვრის“ იქითა მხრიდან, მაგრამ მისი მშველელი საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება.

* * *

„ბორდერიზაციის“ (როგორც ევროკავშირის დამკვირვებლები უწოდებენ ამ სიტუაციას) კიდევ ერთი მსხვერპლი სოფელ დვანში მცხოვრები მერაბ მექარაშვილია.

მისი სახლი 2008 წლის საქართველო-რუსეთის კონფლიქტის დროს დაიბომბა, მაგრამ მერაბმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მშობლიურ სოფელში მდებარე მამისეულ სახლში ცხოვრებას გააგრძელებდა. მასთან მივიდნენ რუსი მესაზღვრეები, გზა გადაჭრეს და მიწის ნაკვეთი შემოსაზღვრეს, თან პირობა წაუყენეს, რომ ან სამხრეთ ოსეთის მოქალაქე გამხდარიყო, ან ამ ადგილიდან წასულიყო. მერაბ მექარიშვილი დღეს იქვე ახლოს ახალ სახლს აშენებს.

ევროკავშირის დამკვირვებლების განცხადებით, „საზღვრის გავლება“ საერთაშორისო სამართლის დარღვევას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის გარდა, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებლად მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ აღიარა – ვენესუელამ, ნიკარაგუამ და ნაურუმ. რუსეთი აცხადებს, რომ მისი შეიარაღებული ძალები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ არიან მიწვეული. დამკვირვებელთა თქმით, ამჟამად იმ ტერიტორიაზე, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს ნაწილადაა აღიარებული, 18 რუსული სასაზღვრო საგუშაგო და 4 სამხედრო ბაზაა დისლოცირებული.

ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენელი ჯონ დერნინი ამბობს, რომ პირველი სასაზღვრო საგუშაგოები სამხრეთ ოსეთში 2009 წელს გაჩნდა და ისინი რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურს ექვემდებარება. თითოეულ საგუშაგო რაზმში 50-მდე რუსი მესაზღვრეა, მათ ოჯახებიც თან ჰყავთ, მოწყობილია საბავშვო სათამაშო ეზოებიც.

2017 წელი რთული იქნება – ოს სეპარატისტებს რეფერენდუმის ჩატარება აქვთ დაგეგმილი რუსეთთან მიერთების თაობაზე. კრემლი თავს შორს იჭერს რეფერენდუმისაგან და აცხადებს, რომ ეს ცხინვალის ადგილობრივი ინიციატივაა, მაგრამ აშკარაა, რომ მოსკოვი სეპარატისტებს ფარულად მაინც მხარს უჭერს.

– საქართველო თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის მძიმე ბრძოლას ეწევა, – ნათქვამია ტელესიუჟეტის დასასრულს, რომლის ვიდეოკადრები 1 იანვარს იქნა გადაღებული, როცა საქართველოში ამერიკელი სენატორები იმყოფებოდნენ.

**ნიუსპრესი**


## შპს მედიცინისა და ბიზნესის უნივერსიტეტი

### 2017 წლის 11 იანვრიდან აცხადებს ღია კონკურსს:

### პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩამოთვლილ მიმართულებებზე:

1. **ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (ქართულენოვანი)**
* პროფესორი – 2 ადგილი;
* ასოცირებული პროფესორი – 10 ადგილი;
* ასისტენტ პროფესორი – 10 ადგილი;
* ასისტენტი – 10 ადგილი.

2. **ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (ინგლისურენოვანი)**
* პროფესორი – 1 ადგილი;
* ასოცირებული პროფესორი – 6 ადგილი;
* ასისტენტ პროფესორი – 6 ადგილი;
* ასისტენტი – 5 ადგილი.

3. **სოციალური მეცნიერებები**
სპეციალობა ეკონომიკა
* პროფესორი – 1 ადგილი;
* ასოცირებული პროფესორი – 3 ადგილი;
* ასისტენტ პროფესორი – 3 ადგილი;
* ასისტენტი – 3ადგილი.

4. **ჯანდაცვის მიმართულებით**
სპეციალობა ფარმაცია (ქართულენოვანი)
* პროფესორი – 2 ვაკანსია;
* ასოცირებულიპროფესორი – 5 ვაკანსია;
* ასისტენტ პროფესორი – 5 ვაკანსია;
* ასისტენტი – 5 ვაკანსია.

**სპეციალობა ფარმაცია (ინგლისურენოვანი)**
* პროფესორი – 1 ვაკანსია;
* ასოცირებული პროფესორი – 5 ვაკანსია;
* ასისტენტ პროფესორი – 5 ვაკანსია;
* ასისტენტი – 5 ვაკანსია.

5 **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით**

* მათემატიკის სპეციალობით (ქართულენოვანი);
* პროფესორი – 1 ვაკანსია;
* ასოცირებულიპროფესორი – 2 ვაკანსია;
* ასისტენტ პროფესორი – 2 ვაკანსია.

* ბიოლოგიის სპეციალობით (ქართულენოვანი)
* პროფესორი – 1 ვაკანსია;
* ასოცირებულიპროფესორი – 2 ვაკანსია;
* ასისტენტ პროფესორი – 2 ვაკანსია.

* ქიმიის სპეციალობით (ქართულენოვანი)
* პროფესორი – 1 ვაკანსია;
* ასოცირებულიპროფესორი – 2 ვაკანსია;
* ასისტენტ პროფესორი – 2 ვაკანსია.

* მათემატიკის სპეციალობით (ინგლისურენოვანი)
* პროფესორი – 1 ვაკანსია;
* ასოცირებულიპროფესორი – 2 ვაკანსია;
* ასისტენტ პროფესორი – 2 ვაკანსია.
* ბოლოგიის სპეციალობით (ინგლისურენოვანი)
* პროფესორი – 1 ვაკანსია;
* ასოცირებულიპროფესორი – 2 ვაკანსია;
* ასისტენტ პროფესორი – 2 ვაკანსია.

* ქიმიის სპეციალობით (ინგლისურენოვანი)
* პროფესორი – 1 ვაკანსია;
* ასოცირებულიპროფესორი – 2 ვაკანსია;
* ასისტენტ პროფესორი – 2 ვაკანსია.

6 **ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით**
* სპეციალობა ისტორია
* ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანსია;
* ასისტენტ პროფესორი – 1 ვაკანსია;
* ასისტენტი – 1 ვაკანსია.

* სპეციალობა ქართული ფილოლოგია
* ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია;
* ასისტენტ პროფესორი – 2 ვაკანსია;
* ასისტენტი – 3 ვაკანსია.

* სპეციალობა ინგლისური ფილოლოგია
* ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია;
* ასისტენტ პროფესორი – 2 ვაკანსია;
* ასისტენტი – 3 ვაკანსია.

7. **საკონკურსო პირობები**
– პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
– ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
– ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;
– ასისტენტად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი;

8. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა შპს მედიცინისა და ბიზნესის უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს
ა) საკონკურსო განცხადება;
ბ) კონკურსანტის ანკეტა; (დადგენილი ფორმით)
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები;
ე) სამეცნიერო ხარისხის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დოქტორანტების შემთხვევაში – დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა;
ვ) ნაბეჭდი ან /ელექტრონული ფორმით საგანმანათლებლო დისციპლინის სილაბუსი/სილაბუსები;
ზ) CV (ავტობიოგრაფია);
თ) ბოლო 10 წელიწადში გამოცემული შრომების სია;
ი) ფოტოსურათი;
კ) ინგლისური ენის ფლობის (არანაკლებ B2 დონე)/ ინგლისურ ენაზე სწავლის/სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. (ინგლისურენოვანი სპეციალობის აკადემიური პერსონალისათვის);
ლ) პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება, ხოლო ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება (დადასტურება -შრომის წიგნაკის დამოწმებული ასლი – ასეთის არსებობის შემთხვევაში – ან სათანადო წესით გაცემული ცნობა);

9. შენიშვნა: აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას კვალიფიციური პირი პროფესიული ნიშნით, ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
კონკურსში მონაწილეობის მსურველი, რომლის შეფასებაც უნდა მოხდეს პროფესიული ნიშნით, საკონკურსო კომისიას ყველა სხვა დოკუმენტთან ერთად დამატებით უნდა წარუდგინოს:
ა) პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) სპეციალური მომზადების ან/და გამოქვეყნებული პულიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები.

10. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება მოხდება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ.

11. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია:
ა) მოიწვიოს კონკურსანტი გასაუბრებაზე;
ბ) საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს კონკურსანტს საცდელი ლექციის ჩატარება.

12. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №43, მესამე სართული, ოთახი 306 (შაბათ კვირის გარდა 12:00 საათიდან 16:00 საათამდე) ან ელექტრონულად info@mbu.ge

5. კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 11 იანვრიდან, საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 13 თებერვლიდან 2017 წლის 17 თებერვლის ჩათვლით, კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2017 წლის 24 თებერვლისა უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.mbu.ge.

**კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
557 93 88 84**

ნონა ცაბაძე

# დემურ გიორხელიძე: „ლარის გამყარების ყველა რესურსი არსებობს“

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძე პასუხობს.**

***– ბატონო დემურ, აქციზების გაძვირებამ ფასების მატება გამოიწვია. რამდენად სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ხელისუფლების მხრიდან?***

– თავისთავად რაიმე მიმართულებით, მით უმეტეს აქციზზე ფასების ზრდა, არასდროს რჩება რეაქციის გარეშე, რადგან ეს სწორედ ის გადასახადია, რომელიც ცვლის მეწარმეების გეგმებს. ამიტომ ბუნებრივი რაღაც მოხდა, აქციზის ზრდამ ფასების ზრდა გამოიწვია. ახლა მთავარია, რა მოჰყვება ამას.

***– რა შეიძლება მოჰყვეს?***

– პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით, ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ მთავრობა რაღაც რეჟიმზე გადის. ჯერჯერობით ინფორმაცია ცოტაა. გეტყვით იმასაც, რომ უფრო ნეგატიური მოლოდინებია, ვიდრე დადებითი, რადგან ჯერჯერობით რეალური საქმე, რეალური რეფორმები არ ჩანს.

***– ეკონომიკის მინისტრი ამ ფონზე აცხადებს, რომ საპანიკო არაფერია, ლარი აუცილებლად გამყარდება. ამაზე რას იტყვით?***

– ჯერჯერობით ყველა რესურსი არსებობს იმისთვის, რომ ეს განხორციელდეს, ანუ მოხდეს ლარის სტაბილიზაცია და ლარის კურსი შესატყვისი იყოს იმ ამოცანებთან, რომლებსაც მთავრობა ისახავს. კერძოდ, ეს არის ერთ-ერთი უალტერნატივო, უპირველესი, რაც ქვეყნისთვის გარდაუვალია – სწრაფი ეკონომიკური ზრდა. ამიტომ ლარის კურსი ვერ იქნება ეკონომიკური პოლიტიკისგან იზოლირებული. ჩვენ გვაქვს ცენტრალური პრობლემა.

***– რაში მდგომარეობს ის?***

– ფულის მასა ძალიან მცირეა. მისი ხელოვნურად გაზრდა არ შეიძლება, მაგრამ ლარი-



ზაციის პროცესი და ეკონომიკის სწრაფი ზრდის პოლიტიკა ფულის გაზრდის საშუალებას მოგვცემს. ლარის ასეთი უთავბოლო რყევა იმითაც არის გამოწვეული, რომ ჩვენი მწირი ეკონომიკა 18%-ით არის მხოლოდ ფულით გადაფარული, რაც მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არსებობს. ამიტომ არის უკმარისი ფული, შევსებულია დოლარით და იმიტომ არის დოლარის არანორმალური ბრუნვა ქვეყანაში, რაც ქართულ ეკონომიკას უპერსპექტივოს ხდის.

***– ექსპერტების შეფასებით, როდესაც გაუქმდა მოგების გადასახადი, ხელისუფლება იმიტომ წავიდა ასეთ არაპოპულარულ ნაბიჯზე, რომ არსებული სხვაობა დაებალანსებინა. ეს სწორი სვლა იყო?***

– მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელი, რომელიც არანაირ სერიოზულ ეფექტს არ გამოიწვევს, არის სანახევრო ღონისძიება, რომელიც კომპენსირებას მოითხოვდა და სწორედ ეს მოხდა. ბიუჯეტში მოგების გადასახადიდან ასობით მილიონი ლარის დანაკლისი რაღაცით უნდა შევსებულიყო.

***– ეს არ იყო სწორი ნაბიჯი?***

– დიახ. ჩვენ არასწორ აქცენტს ვაკეთებთ, როცა ვფიქრობთ, რომ გადასახადების გაზრდით შეიძლება ბიუჯეტის პრობლემების მოხსნა. ბიუჯეტის პრობლემები ქართულ ეკონომიკაშია და ყველაფრის პრობლემა ქართულ ეკონომიკაშია! ამიტომ მთავარია, მას უმკურნალოს ხელისუფლებამ. ჯერჯერობით ცუდი მკურნალობა გამოსდით.

***– იზრდება ავტომობილების განბაჟებაც. ამ საკითხმაც აღელვა მოსახლეობის ნაწილი.***

– ეს კერძო ბიზნესია. გასაგებია, რომ ფასის ზრდა ბიზნესზე გავლენას მოახდენს, მაგრამ ეს მაინც არ არის ის ბიზნესი, რომელიც შეიძლება სამომავლო იყოს. უბრალოდ, თუკი რაიმე ნიშა არსებობს, ყველა თავისი ინიციატივის ფარგლებში უნდა ვითარდებოდეს. ეს ბიზნესი გადაფასებული იყო.

ჩვენს მეზობელ ქვეყნებში უაზრო პოლიტიკის გამო საქართველოში გაჩნდა ამის პირობები. როგორც კი მოწესრიგდება გვერდით სახელმწიფოებში საგადასახადო პოლიტიკა, ეს ბიზნესი ჩაქრება ან ძალიან მცირე იქნება, ძირითადად შიდა ბაზარზე გათვლილი.

***– როგორია თქვენი გათვლები, რას მივიღებთ სამომავლოდ?***

– დღეს ყველაფერი დამოკიდებულია მთავრობის პოლიტიკაზე. თუ სწორი პოლიტიკა იქნა, ძალიან კარგი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კარგი დეკლარაციები დარჩება დეკლარაციების დონეზე. ჯერჯერობით პერსპექტივები არსებობს, საქართველოში ამ ეტაპზე არის ყველანაირი რესურსი, რომ განვითარების პროცესი დაიწყოს. ჯერჯერობით საკუთარი ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები უმოქმედოა და ჩვენ ვხედავთ არასწორ პოლიტიკას, რომელმაც მიგვიყვანა ასეთ მძიმე შედეგებამდე.

***– ითქვა, რომ ამ არასწორ პოლიტიკას ეკონომიკური გუნდი შეეწირება. უშველის ეს ჩვენს ეკონომიკას?***

– ეკონომიკური გუნდის შეცვლაზე საუბარი სწორი არ არის. ჩვენი კონსტიტუციით, მთავარი აღმასრულებელი ორგანო მთავრობაა. ვერანაირი ცალკეული მინისტრი დამოუკიდებლად ვერანაირ პოლიტიკას ვერ შეიმუშავებს და ვერ განახორციელებს. ამიტომ ასე დაყოფა გუნდებად არ არის სწორი.

სამწუხაროდ, ჩვენი პარლამენტი ყველანაირი პროცესისგან გათიშულია და ეს არის უმოქმედო ორგანო. წინა ოთხი თვის განმავლობაშიც არაფერი დადებითი, სერიოზული პარლამენტს არ გაუკეთებია. ჯერჯერობით პარლამენტი არ ასრულებს თავის ფუნქციას და ამ დროს ჩვენ სასაცილო მდგომარეობაში ვართ!

***– რატომ ვართ სასაცილო მდგომარეობაში?***

– გვეუბნებიან, რომ საქართველო თურმე საპარლამენტო რესპუბლიკაა. მაშინ მთლად უარესად არის საქმე. არანაირი საპარლამენტო რესპუბლიკა არ არის, რადგან პარლამენტი არის მეორეხარისხოვანი წარმონაქმნი საქართველოში უკვე დიდი ხანია. ასე რომ, პრობლემები სერიოზულია და ვნახოთ, რა როგორ გაკეთდება.

# საქართველოში ქარსაფარი ზოლების აღდგენა დაიწყეს



საქართველოში ძალიან ბევრი ქარიანი ადგილია, ამიტომ ჩვენში ქარსაფარი ზოლების არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ამას მთავრობისა და შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებიც აღიარებენ. ამ საკითხზე მუშაობა სოფლის მეურნეობის სამინისტროშიც მიმდინარეობს.

როგორც მინისტრის მოადგილე გიორგი ჩხეიძემ აღნიშნა, დღეისთვის, ქვეყნის მასშტაბით გაჩეხილია ქარსაფარი ზოლების დაახლოებით 90%, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ნიადაგის ნაყოფიერებაზე და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე.

შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო მზად არის სხვა უწყებებთან ერთად, აქტიურად და კოორდინირებულად იმუშაოს და ხელი შეუწყოს ქვეყნის მასშტაბით ქარსაფარი ზოლების აღდგენა-რეაბილიტაციას.

ამ საკითხზე საერთაშორისო ორგანიზაციები და ქართველი მეცნიერებიც მუშაობენ. როგორც ბიზნესპრესნიუსს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლალი გოგინავამ განუცხადა, საქართველოში უქარო ადგილი თითქმის არ არსებობს, მაგრამ არის რეგიონები, სადაც ქარსაფარი ზოლები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ლალი გოგინავას თქმით, უკვე მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, განსაკუთრებით დედოფლისწყაროში, რადგან ყველაზე მეტი ქარსაფარი ზოლი სწორედ იქ გაიჩეხა.

– ქარსაფარი ზოლების არსებობა ყველაზე მეტად საჭიროა ხეხილოვანი კულტურებისთვის. სამწუხაროა, რომ დღეს ამ ზოლების დიდი ნაწილი გაჩეხილია. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გერმანიის მიერ გამოყოფილი გრანტი გამოიყენა და ზოგიერთ ადგილას ქარსაფარი ზოლები გააშენა. ამ ზოლების ნახევარი გახმა. ეს ძირითადად უცხოეთიდან შემოტანილი ფოთლოვანი მცენარეები იყო, რომელიც ძნელად ეგუება ჩვენს პირობებს.

მთავარი ქარსაფარი ზოლის გაშენება კი არა, მისი მოვლა და შენარჩუნებაა. ახლა მთელ მსოფლიოში ახალი ტენდენცია შემოვიდა: აშენებენ ნაყოფის მომცემ მცენარეებს – ალუჩას, ტყემალს, ჭერამს, ბალს, ალუბალს. ეს ფერმერებისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროც ხდება და ქარისგანაც იცავს ნაკვეთებს, რადგან ქარისგან დამტვრეული ტოტებისა და დაზიანებული ხეების აღდგენას წლები სჭირდება.

ხშირად აკეთებენ 3-4-6-რიგიან ზოლებსაც, რაც მოსავალს უკეთესად იცავს, სხვათა შორის, ნაკვეთის შიგნითაც შეიძლება ქარსაფარი ზოლის გაშენება, – აღნიშნა ლალი გოგინავამ.

მისი თქმით, სოფლის მეურნეობის სამინისტროში ბევრი რამ კეთდება, რომ ქარსაფარი ზოლები აღადგინონ, თვითონ ფერმერებიც ყველაფერს აკეთებენ, რომ ეს საკითხი მოგვარდეს.

– ქარსაფარი ზოლი მოსავლის ხარისხსაც ზრდის და ნიადაგის სტრუქტურასაც, ამავე დროს მოსახლეობისთვისაც კარგია. ყველამ ვიცით, რომ თბილისის შემოგარენში – დიდ დიღომში, გლდანში, ვარკეთილში – დიდი ქარი იცის. თუ ქარსაფარი ზოლები გაშენდება, ეს დასახლებულ ადგილებსაც დაიცავს ძლიერი ქარებისგან, – ამბობს ლალი გოგინავა.

* * *

– ქარსაფარი ზოლების გაშენება საკმაოდ რთული და ძვირადღირებული საქმეა, – განაცხადა ჩვენთან საუბრისას სწავლულმა აგრონომმა აკაკი ღლონტმა.

მისი თქმით, ქარსაფარი ზოლები იცავს ნიადაგს ეროზიისა და ყინვისგან, არეგულირებს ჰაერის ტენიანობას, აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას.

– 1990-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში ბარბაროსულად მოჭრეს ხეები, გაჩეხეს ტყეები და ქარსაფარი ზოლებიც მიაყოლეს. ზოგმა ეს სიმდიდრე შეშად გამოიყენა, ზოგმა კი უცხოეთში გაიტანა და გაყიდა, – გვითხრა აკაკი ღლონტმა.

ქარსაფარი ზოლების განადგურებამ კლიმატის მთლიანად ცვლილება გამოიწვია. საქართველოში იყო ტყეები, რომლებიც ქარსაფარი ზოლების მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ ისინიც გაიჩეხა.

– ქარსაფარი ზოლები კომუნისტების დროს მრავალ ადგილას გააშენეს. დღეს ეს ადგილები კერძო პირების ხელშია გადასული და იქ უკვე არავინ შეგვიშვებს. ამიტომ, ქარსაფარ ზოლებს ძველ ადგილებზე ვეღარ აღვადგენთ. მათ გაშენებას მთელი ქვეყნის მასშტაბით სერიოზული მუშაობა დასჭირდება, – აღნიშნა მეცნიერმა.

ეს ძვირადღირებული პროექტია: საჭიროა ადგილის შერჩევა, ნერგების შეძენა, დარგვა, შემოღობვა, რომ მცენარეები დაცული იყოს.

– მოსახლეობა ამ ზოლების გაშენებას ვერ შეძლებს, რადგან ამ საქმეს სპეციფიკური ცოდნა სჭირდება. არადა, ქარსაფარი ზოლების არსებობას საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს: აგრარული სექტორის განვითარება მათი აღდგენის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება, – განაცხადა აკაკი ღლონტმა.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# ქართული მატყლი დიდი ბრიტანეთის ბაზარზე გავიდა

ქართული მატყლი დიდი ბრიტანეთის ბაზარზე გავიდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ქართული მატყლის ევროკავშირის ბაზარზე გასვლა სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე მოხდა.

როგორც სააგენტოდან იუწყებიან, ევროკავშირში ქართული მატყლის გატანას საკანონმდებლო დაახლოებისა და შესაბამისი სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებები უძღოდა წინ.



ევროკავშირმა საქართველოს სახელმწიფო კონტროლის სისტემა დადებითად შეაფასა და მესამე ქვეყნების ჩამონათვალში შეიყვანა, საიდანაც ევროკავშირის ტერიტორიაზე მატყლის ექსპორტი ნებადართულია.

– მატყლი პირველი ცხოველური წარმოშობის პროდუქტია, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე გავიდა. მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, საქართველოდან დიდ ბრიტანეთში 22 ტონა დაუმუშავებელი მატყლის ექსპორტი უკვე განხორციელდა. მატყლის ევროკავშირის ბაზარზე გასატანად საჭიროა კომპანიებმა შესაბამისი მოთხოვნები დააკმაყოფილონ, რასაც ზედამხედველობას უწევს სურსათის ეროვნული სააგენტო და შესაბამის რეკომენდაციებსაც უწევს, – განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილემ, ქვეყნის მთავარმა ვეტერინარმა მიხეილ სოხაძემ.

მისი აზრით, აღნიშნული გადაწყვეტილებით, ევროკავშირმა საქართველოს დიდი ნდობა გამოუცხადა, რაც მეცხვარეობის დარგის სტიმულირებას და ქართული მატყლის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას განაპირობებს.

ევროკავშირის ქვეყნებში მატყლის შეტანას, ევროკავშირის №142/2011 რეგულაცია განსაზღვრავს.

2016 წლის დეკემბერში ევროკავშირმა დაასრულა ფორმალური პროცედურები და უკვე შესაძლებელია ქართული თაფლის გატანა ევროკავშირის ბაზარზე.

**ბიპიენი**

# გურიაში ზარას სამკერვალო ფაბრიკა გაიხსნება

ენა ტექსტილი, რომელიც ზარას პროდუქციას აწარმოებს, გურიაში სამკერვალო ფაბრიკას გახსნის.

ინფორმაცია მაირესტს გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ დაუდასტურა.

გუბერნატორის თქმით, მათ თურქული და ესპანური მხარიდან უკვე მიიღეს პროექტზე თანხმობა. მოლაპარაკების ოფიციალურად გაფორმება 10 იანვარს იგეგმებოდა, თუმცა ამინდის გაუარესების გამო, უცხოელი პარტნიორები საქართველოში კვირის ბოლოს ჩამოფრინდებიან.

საწარმო ოზურგეთში პროექტის „აწარმოე საქართველოში ფარგლებში“ აშენდება. გია სალუქვაძის თქმით, პროექტის ღირებულება დაახლოებით 5,5 მილიონი ლარია.

ზარა სავაჭრო ქსელია, რომელიც ესპანელ მაგნატს ამანსიო ორტეგას ეკუთვნის.

ბრენდის მთავარი ოფისი ქალაქ ლა კორუნიაში მდებარეობს, სადაც 1975 წელს პირველი მაღაზია გაიხსნა.

**კომერსანტ.გე**



# ლევან ალაფიშვილი: „მოსმენების საკითხზე მმართველ გუნდში წინააღმდეგობაა“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს, თუ სად უნდა იყოს მოსმენების გასაღები.

***– ბატონო ლევან, ფარული მოსმენების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების ფარგლებში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ორი სიკეთე, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებები და, მეორე მხრივ, ქვეყნის უსაფრთხოება არ უნდა დაზარალდეს. სად უნდა იყოს მოსმენების გასაღები?***

– 4 წელია, პრაქტიკულად, ვუყურებთ პროცესს, როდესაც ხელისუფლება ცდილობს, მაქსიმალურად შეინარჩუნოს სპეცსამსახურის სპეციალურ ფუნქციებზე ბერკეტი. 2013 წელს აქტიურად ვლობირებდი საპოლიციო და სპეცსამსახურების ფუნქციების გამიჯვნის საკითხს.

დღევანდელი თავდაცვის მინისტრი, მაშინდელი შს მინისტრის მოადგილე, ბატონი იზორია, გვიმტკიცებდა, რომ პოლიციის დეპოლიტიზება უკვე მოხდა და გაყოფა არ იყო საჭირო. შეგახსენებთ, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ, ბატონმა ვერშბოუმ საქართველოში ვიზიტის დროს ღია გზავნილი გააკეთა, რომ ნატო არათუ დამკვირვებლის როლში იქნება, არამედ აქტიურად იქნება ჩართული შს სამინისტროსა და უშიშროების, სპეცსამსახურების რეფორმაში. ჯერ კიდევ 2013 წელს ჩვენ ვამბობდით, რომ ცალკე უნდა მომხდარიყო მოსმენების განმახორციელებელი სუბიექტის გამოყოფა, რომელიც არცერთი პოლიტიკური შტოს კონტროლქვეშ არ იქნებოდა.

***– სად უნდა იყოს?***

– ფართო საზოგადოებრივ და სასამართლო კონტროლქვეშ. შესაძლებელია, ეს იყოს კანონით დადგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ეყოლება საზოგადოებისგან ფორმირებული სამეთვალყურეო საბჭო და რომელიც თავის ყოველდღიურ საქმიანობას, ფარულად ინფორმაციის მოპოვებას განახორციელებს მხოლოდ სასამართლო კონტროლითა და მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში, როგორც ეს ყველა ევროპულ ქვეყანაშია.

***– დღეს ხელისუფლებას არ ეთმობა მოსმენები?***

– დიახ, რა თქმა უნდა. ეს არის ცდუნება, განსაკუთრებით პოსტსაბჭოური საზოგადოებისთვის, სადაც ყველა ხელისუფლება ცდილობს, სწორედ სპეცსამსახურების მეშვეობით იქონიოს გავლენა საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებსა თუ კონკრეტულ ინსტიტუტებზე.

მმართველ პოლიტიკურ ბლოკში იყვნენ ჯერ კიდევ რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, რომლებიც ღიად საუბრობდნენ, რომ სპეცსამსახურები პოლიტიკურ ცხოვრებაში ერევიან. ყველას კარგად ახსოვს ამ პარტიების ლიდერების განცხადება, რომ ადგილობრივ არჩევნებზე სიებს სპეცსამსახურები ადგენდნენ. ჩვენ არ გვაქვს გარანტია, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების სიებიც არ იყო მათი მონაწილეობით შედგენილი.

პოლიტიკა და სპეცსამსახური სადაც არ არის გამიჯნული, ის საზოგადოება არადემოკრატიულობისკენ არის მიდრეკილი. ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ცდილობს ამ სისტემის შენარჩუნებას, განწირულია მძიმე პასუხისმგებლობისთვის.

***– თუმცა, ხელისუფლებას აქვს არგუმენტი, რომ მსოფლიოში მომძლავრებული ტერორიზმის ფონზე სწორედ ეს არის დაცულობის კუთხით ერთ-ერთი ბერკეტი ხელისუფლების ხელში. რამდენად ადეკვატური არგუმენტია?***

– პოლიტიკოსები და ხელისუფლება ცდილობენ, შეიძლება გლობალურად რეალური, მაგრამ საქართველოსთვის ჰიპოთეტური საფრთხით, ეს თემა გააბუქონ და რაც შეიძლება მუქ ფერებში დახატონ. ცხადია, ადამიანის უსაფრთხოებას ალტერნატივა არ აქვს, ასევე ცხადია, რომ ტერორიზმი რომელიღაც ერთი ქვეყნის საფრთხე არ არის და ის გლობალური საფრთხეა, მაგრამ ეს არგუმენტი, იცით, როდის იქნებოდა რეალური? როდესაც ვიტყოდით, რომ ჩვენ სწორედ ამ სისტემის გამოყენებით აღვკვეთეთ ესა და ეს საფრთხე, თავიდან ავაცილეთ ჩვენს საზოგადოებასა და საერთაშორისო თანამეგობრობას მოსალოდნელი ტერაქტი, მაგრამ ასეთი განცხადება რატომღაც არ მომისმენია.

თუკი არსებობს კონკრეტული მონაცემი, მაშინ რა უშლით ხელს, რომ დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში მიმართონ დამოუკიდებელ ინსტიტუტს და მოიპოვონ წვდომა ფარულ სატელეფონო მოსმენასა თუ სხვა კორესპონდენციაზე?! დღეს, 21-ე საუკუნეში, არა მგონია, ოპერატიულობის პრობლემა იდგეს. ბუნებრივია, გადაუდებელ შემთხვევაში, კანონშიც ასეა გაწერილი, რომ უნდა არსებობდეს დადგენილება არა ოპერატიული თანამშრომლის დონეზე, არამედ ზემდგომი ინსტანციის დონეზე, თანაც დასაბუთებული, თუ რატომ არის საჭირო წვდომის აუცილებლობა.

თამარ ჩუგოშვილმა, ვიცესპიკერმა, მკაფიოდ განაცხადა, რომ მოსმენის სისტემის გარეთ გატანა უმთავრესი ამოცანაა. ვინც ასე არ ფიქრობს მმართველ გუნდში, გაემიჯნონ ქალბატონ თამარს. მმართველ გუნდში პოზიციათა წინააღმდეგობა მოსმენების საკითხზე უკვე სახეზეა, მაგრამ მათ მოუწევთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.

***– საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გახდა მიზეზი, ეს საკითხი კვლავ დღის წესრიგში დამდგარიყო.***



– დიახ, საკონსტიტუციო სასამართლომ თქვა, რომ ორი გასაღების სისტემაც კი არ არის კარგი, კონსტიტუციის შესაბამისი, რაც თავის დროზე არასამთავრობო სექტორმა წარადგინა და რაზეც წავიდა ხელისუფლება მაშინ. ახლა ხელისუფლებას მოუწევს თანამედროვე სტანდარტების სისტემის შექმნა. სამწუხარო ის არის, რომ ამ ყველაფერს მთელი 4 წელი დასჭირდა.

# მაია რჩეულიშვილი ისევ ციხეში გადაიყვანეს

**მაია რჩეულიშვილი საავადმყოფოდან ისევ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანეს.**

**– ოპერაცია დაგეგმილი იყო და ბოლო წუთში მაია რჩეულიშვილმა უარი განაცხადა ყველანაირ სამედიცინო ჩარევაზე.**

**ამის შესახებ ინტერპრესნიუსს „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის მაია რჩეულიშვილის ადვოკატმა მარიამ ცუცქირიძემ განუცხადა.**

როგორც ცუცქირიძემ აღნიშნა, ის რჩეულიშვილს შეხვდა და ის მიზეზები მოისმინა, რის გამოც მისი დაცვის ქვეშ მყოფმა მკურნალობაზე უარი განაცხადა.

ცუცქირიძის ინფორმაციით, მაია რჩეულიშვილი მიიჩნევს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეუძლებელია ოპერაციის შემდგომი სარეაბილიტაციო კურსის გავლა და ყველა სახის სამედიცინო ჩარევაზე უარი სწორედ ამიტომ თქვა.

– გულზე უნდა ჩასტარებოდა ოპერაცია, რის შემდეგაც 2 კვირა იყო საჭირო რეაბილიტაციისთვის. 2 კვირის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო ფილტვზე ძალიან რთული ოპერაცია. ამ ოპერაციის შემდეგ საჭირო იყო სარეაბილიტაციო კურსი, რომლის განხორციელებაც, მაია რჩეულიშვილის აზრით, ციხეში შეუძლებელია. როდესაც ის მიხვდა, რომ ამ პროცედურის გარეშე შეიძლება უარესი შედეგი მიიღოს, გადაწყვიტა, რომ საერთოდ უარი ეთქვა ოპერაციაზე, – აღნიშნა მარიამ ცუცქირიძემ.

❖ ❖ ❖

ეს ინფორმაცია დაადასტურა პროკურორმა დავით გუმბერიძემ.

მისი თქმით, სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენლები დაუკავშირდნენ იმ კლინიკის ხელმძღვანელს, სადაც მაია რჩეულიშვილი იმყოფებოდა, რომლისგანაც მიიღეს ინფორმაცია, რომ რჩეულიშვილმა უარი განაცხადა სამედიცინო პროცედურების ჩატარებაზე და სამედიცინო დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება ბრალდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.

– ჩვენ ვამბობთ, რომ დაცვისა და ბრალდებულის მხრიდან ადგილი აქვს სასამართლოში გამოცხადების თავის არიდებას. ამით ცდილობენ, პროცესი გაჭიანურდეს. შესაბამისად, ჩვენ დავაყენეთ შუამდგომლობა, რომ პროცესი დაინიშნოს 12 იანვარს და ამ მიზეზით კიდევ არ მოხდეს სასამართლო პროცესების გაჭიანურება, რათა დასრულდეს საქმის დროულად განხილვა, – განაცხადა დავით გუმბერიძემ.

პროკურორის თქმით, 12 იანვრის სასამართლო პროცესზე როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარეები წარმოადგენენ ბრალდებულის პოზიციას სასამართლო განხილვებში მონაწილეობასთან დაკავშირებით და, თუ კიდევ იქნება დაყენებული შუამდგომლობა დაცვის მხა-



რის მიერ პროცესის გადადებაზე, სახელმწიფო ბრალდება ჩათვლის, რომ ადგილი აქვს პროცესის გაჭიანურებას და, შესაბამისად, მოითხოვს, რომ სასამართლო განხილვები ბრალდებულის დაუსწრებლად გაგრძელდეს.

– შემდეგ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე გეგმავს იმ მოწმეების დაკითხვას, რომლებიც ბრალდებულის მამხილებელ ჩვენებას იძლევიან. ესენი არიან „ცენტრ-პოინტ აჭარის“ თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ მაია რჩეულიშვილის მითითებებს ასრულებდნენ. მათ შორისაა ბუღალტერი, რომლის დაკითხვაში მონაწილეობა სურდა თავად ბრალდებულს, – განაცხადა დავით გუმბერიძემ.

❖ ❖ ❖

– მაია რჩეულიშვილი წინააღმდეგია, სასამართლო პროცესები სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარდეს.

ამის შესახებ მაია რჩეულიშვილის ადვოკატმა მარიამ ცუცქირიძემ გუშინდელი სასამართლო პროცესის დაწყებამდე განაცხადა.

– ექიმი არ უწევს რეკომენდაციას, რომ პროცესი პალატაში ჩატარდეს. ასევე წარმოდგენილი გვაქვს მაია რჩეულიშვილის განცხადება, სადაც ის ამბობს, რომ სურს სასამართლო სხდომებში მონაწილეობა, თუმცა წინააღმდეგია, რომ პროცესები მასთან პალატაში ჩატარდეს, ვინაიდან ამით მოხდება მისი როგორც მორალური, ისე ფსიქოლოგიური განადგურება. ამიტომ ის სთხოვს სასამართლოს პროცესის გადადებას, სანამ თავად არ შეძლებს სასამართლოში მოსვლასა და საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობის მიღებას.

თუ სასამართლო მის თხოვნას არ გაიზიარებს, მაია რჩეულიშვილი იძულებული იქნება, უარი თქვას საკუთარ უფლებაზე და აღარ მიიღოს მონაწილეობა სასამართლო სხდომებში, ამით კი ბრალდებულის უფლება დაირღვევა, – განაცხადა მარიამ ცუცქირიძემ.

დაცვის მხარის შუამდგომლობას არ ეთანხმებოდა სახელმწიფო ბრალდება და პროცესის სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარებას ითხოვდა. პროკურორების აზრით, ადვოკატებისა და ბრალდებულის აღნიშნული პოზიცია პროცესების გაჭიანურებას ემსახურებოდა.

# თბილისის აეროპორტში არადეკლარირებული ბეწვეული აღმოაჩინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტ „თბილისის აეროპორტში“ მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული საქონელი – 21 ცალი ნატურალური ბეწვის ქურქი და 10 წყვილი ნატურალური ტყავის ხელთათმანი აღმოაჩინეს.



შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქონლის საბაჟო ღირებულებამ 13.892,96 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, მოქალაქეს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა 13.892,96 ლარის ოდენობით შეეფარდა.

# თბილისში მომხდარი 76 წლის ქალის მკვლელობის საქმე რამდენიმე წარმოებად დაიყო

76 წლის ქალის განზრახ მკვლელობის საქმე რამდენიმე წარმოებად დაიყო.

საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო არასრულწლოვანი ბრალდებულის ეპიზოდი და ასევე, იმ ბრალდებულების საქმეები, რომლებიც დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის არიან დაკავებული.

როგორც ინტერპრესნიუსს დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებულ დათა კვარაცხელიას ადვოკატმა ნიკა სადრაძემ განუცხადა, საქმეზე გამოძიება დასრულდა და დაცვის მხარეს საქმის მასალები გადაეცა.

– საქმის მასალები საკმაოდ მოცულობითია და რამდენიმე დღე დამჭირდება, რომ შევისწავლო. ცალკე წარმოებად გამოეყო დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებული პირების დათა კვარაცხელიასა და ავთანდილ ამირანაშვილის საქმეები და ასევე ცალკე წარმოებად გამოეყო არასრულწლოვნის საქმეც. როგორც ვიცი, სასამართლო განხილვები უკვე მიმდინარეობს, – განაცხადა ნიკა სადრაძემ.

თბილისში საზარელი მკვლელობა 19 ოქტომბერს მოხდა. დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ 3 პირსა და აღნიშნული დანაშაულის დაფარვისა და შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულ 1 პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 6 ნოემბერს შეეფარდათ.

გამოძიების ინფორმაციით, სამმა ბრალდებულმა მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს, წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე კორპუსის საცხოვრებელ ბინაში ბრალდებულ ირმა ყოჩიშვილის დედა, 1940 წელს დაბადებული ლუბა ყოჩიაშვილი, ჯერ ელექტროშოკით გათიშეს, ხოლო შემდგომ გაგუდეს და დანის დარტყმით მოკლეს.

ბრალდებულებმა გარდაცვლილი ლუბა ყოჩიაშვილის ცხედარი დიდი ზომის ჩანთაში მოათავსეს და თბილისში, ბექა შენგელიას ნაქირავებ ბინაში გადაიტანეს, სადაც გვამი დაანაწევრეს. იმავე საღამოს, დაბინდების შემდგომ, ბრალდებულებმა დანაწევრებული გვამი ორი ჩანთის მეშვეობით გლდანის მე-8 საპყრობილის მიმდებარედ არსებულ გაუქმებულ ნაგავსაყრელზე გადაიტანეს, წინასწარ, მოცემული დანაშაულის ჩადენის მიზნით შეძენილი ბენზინი გადაასხეს, ცეცხლი წაუკიდეს და კვალის დასაფარად თხრილში დაწვეს.

გამოძიება იმასაც ეჭვობს, რომ ეს იყო რიტუალური მკვლელობა.

# თამარ მეფის გამზირზე მამაკაცმა თავი მოიკლა

თბილისში, თამარ მეფის გამზირზე, მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მან, სავარაუდოდ, თავი ცივი იარაღით მოიკლა.

როგორც ინტერპრესნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

2017, 11 იანვარი, №8

# აშშ-ის დაზვერვა: სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების ალბათობა გაიზარდა




აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის ანალიტიკოსებმა 2017 წლის პროგნოზი გამოაქვეყნეს.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ ტერორიზმის გააქტიურება, მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპების შეფერხება შესაძლოა საერთაშორისო მასშტაბის კატაკლიზმებით დასრულდეს.

— იზრდება რისკი სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებისა, რაც შესაძლოა პირდაპირ სამხედრო კონფრონტაციაში გადაიზარდოს, — თვლიან ამერიკელი ანალიტიკოსები.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ დასავლეთში სულ უფრო პოპულარული ხდება იზოლაციონიზმის თეორია. მისი მომხრეები ამტკიცებენ, რომ აუცილებელია აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე უარის თქმა და მთელი ძალისხმევის შიდა პრობლემების მოგვარებისკენ წარმართვა.

ამერიკელი მზვერავების აზრით, ეს საშიში თეორიაა.

— მოსკოვში ან პეკინში შესაძლოა ჩათვალონ, რომ დასავლეთი სუსტია და ამერიკის მიმართ პირდაპირი აგრესიული ნაბიჯები გადადგან, — ნათქვამია მოხსენებაში.

ანალიტიკოსების აზრით, დონალდ ტრამპის, როგორც პრეზიდენტის, უპირველესი ამოცანა რუსეთთან შეთანხმება, ამერიკაში სამუშაო ადგილების გაზრდა და საერთაშორისო ტერორიზმის განადგურება უნდა გახდეს, თუმცა მოსკოვთან შეთანხმება იოლი არ იქნება.

— რუსებთან ლაპარაკი მხოლოდ ძალის პოზიციებიდან შეიძლება! მათ სხვა სიტყვები, უბრალოდ, არ ესმით, — თვლიან ამერიკელი მზვერავები.

ამასობაში ტრამპის მრჩეველმა კელიან კონვეიმ განაცხადა, რომ შესაძლოა რუსეთის მიმართ დაწესებული ზოგიერთი სანქცია გააუქმონ.

— მისტერ ტრამპი ამ საკითხს სწავლობს და სანქციების შესუსტების შესაძლებლობას არ გამორიცხავს, — თქვა ქ-მა კონვეიმ.

სენატორმა მაკეინმა პასუხი არ დაახანა. მან თქვა, რომ სანქციების შესუსტებას კონგრესის მიერ დამატებითი სანქციების შემოღება მოჰყვება.

მართლაც, აშშ-ის სენატში სათანადო კანონპროექტი უკვე დევს. მას როგორც რესპუბლიკელები, ასევე დემოკრატებიც მხარს უჭერენ.

# ბელარუსმა აშშ-სა და ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი შემოიღო



ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებს უფლება ეძლევათ, 80 დღის განმავლობაში ბელარუსში ვიზის გარეშე იცხოვრონ.

აღნიშნული კანონი ბრაზილიისა და ინდონეზიის მოქალაქეებზეც ვრცელდება. აღსანიშნავია, რომ თავად ბელარუს მოქალაქეებს ევროკავშირში შესვლა ვიზის გარეშე ეკრძალებათ.

— პუტინის აგრესიულმა პოლიტიკამ თვით ლუკაშენკოც კი დააფრთხო! ბელარუსის პრეზიდენტიც ცდილობს, რომ ევროპასთან კავშირი დაამყაროს, — თვლის პუტინის ყოფილი თანაშემწე, ამჟამად კი ოპოზიციონერი ილარიონოვი.

# ვენესუელის პარლამენტი: მადურო პრეზიდენტი აღარ არის



ვენესუელის პარლამენტმა, სადაც უმრავლესობას ოპოზიცია წარმოადგენს, ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, მადურო პრეზიდენტად აღარ ითვლება.

— ჩაითვალოს, რომ მან პოსტი დატოვა, — ნათქვამია დადგენილებაში.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს დადგენილება მხოლოდ ქაღალდზე დარჩება, რადგან მთავრობა და უმაღლესი სასამართლო კვლავაც მადუროს მომხრეთა კონტროლქვეშაა.

საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციამ გაიმარჯვა, მაგრამ მადუროს შეუძლია, მათი ნებისმიერი გადაწყვეტილება გააუქმოს.

# კვიპროსის გაერთიანებაზე მოლაპარაკებები დაიწყო



ჟენევაში დაიწყო მოლაპარაკებები კვიპროსის პრეზიდენტ ანასტასიადისა და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქთა რესპუბლიკის ლიდერ აკინჯის შორის.

ძირითადი თემა კვიპროსის გაერთიანებაა.

— მოლაპარაკებები იოლი არ იქნება, თუმცა იმედი მაქვს, რომ კონსენსუსს მივაღწევთ, — თქვა აკინჯიმ.

# დონეცკში სტალინის სახელობის კაფე გაიხსნა



დონეცკში სტალინის სახელობის კაფე გაიხსნა. მას „კობა" ჰქვია.

გახსნა საზეიმო ვითარებაში მოხდა. სიტყვა თავად ზახარჩენკომ წარმოთქვა.

— სტალინს ესმოდა ის საშიშროება, რასაც რუსეთისთვის უკრაინული ნაციონალიზმი წარმოადგენდა! გოლოდომორი და მასობრივი წმენდები სწორედ ნაციონალიზმის განადგურებისკენ იყო მიმართული. სამწუხაროდ, სტალინის სიკვდილის შემდეგ მის პოლიტიკაზე უარი ითქვა. ხოხოლებს თავზე ხელს უსვამდნენ. დღეს ამ დოყლაპიობის შედეგებს ვიმკით, — თქვა ზახარჩენკომ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ანკარა: პოლიციამ მიტინგი დაშალა




თურქეთის დედაქალაქში ოპოზიციურმა ძალებმა დემონსტრაცია გამართეს. ისინი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასა და პრეზიდენტ ერდოღანისთვის დამატებითი უფლებამოსილებების მინიჭებას აპროტესტებდნენ.

აქციაში 300-მდე ადამიანი მონაწილეობდა.

დემონსტრაცია არ იყო მრავალრიცხოვანი, თუმცა მისი მონაწილენი უაღრესად აგრესიულად იქცეოდნენ.

პოლიციამ ექსცესები აღკვეთა. დემონსტრაცია ხელკეტების და წყლის ჭავლის გამოყენებით დაშალეს.

# საქართველო ეკოლოგიური და ენერგეტიკული კრიზისის წინაშეა



ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებით, ირკვევა, რომ შეშის წლიური მოხმარება საქართველოში დაახლოებით 2,5 მილიონ მ3-ს შეადგენს, რაც ოთხჯერ აღემატება ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განსაზღვრულ დასაშვებ მოცულობას.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" World Exprerience for Georgia-დან აცნობეს. ორგანიზაციის ინფორმაციით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის გათბობა 75%-ით ტყეების უნებართვო ჩეხა-განადგურების ხარჯზე ხდება.

შეშა საქართველოში წარმოებული მთლიანი ენერგიის 30-35%-ს შეადგენს და მასზე რეგიონების მოსახლეობის 90%-ია დამოკიდებული, თუმცა ეს რესურსი სახელმწიფო ენერგეტიკულ პოლიტიკაში გათვალისწინებული არ არის.

შეშა, ძირითადად, გაშრობის გარეშე იწვება დაუთბუნებელ საცხოვრებლებსა და არაეფექტურ ღუმელებში, რაც მერქნული რესურსის უმიზნო ფლანგვასა და ჯანმრთელობის პრობლემებს იწვევს. მოჭარბებული ჭრის შედეგად ტყის მასივების განადგურება იწვევს ნიადაგის ეროზიას, ბიომრავალფეროვნების დაკარგვას, წყალმოვარდნებს, მეწყრებსა და სხვა კატასტროფულ მოვლენებს. ოცწლიანი განუწყვეტელი ზეწოლის შედეგად ტყის დეგრადაცია კრიტიკულ ზღვრამდეა მისული. სპეციალისტები, ეკოლოგიური პრობლემების გამძაფრებასთან ერთად, ხელმისაწვდომი შეშის მოცულობების მკვეთრ შემცირებასაც პროგნოზირებენ.

— აუცილებელია სასწრაფო სახელმწიფო რეაგირება იმისათვის, რომ ავიცილოთ ეკოლოგიური კატასტროფა და ენერგეტიკული შიმშილი, რაც რეგიონების მოსახლეობისგან დაცლას გამოიწვევს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მომზადებულია სატყეო რეფორმის პროექტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ტყეების მდგრადი მართვა. პარალელურად, განიხილება მომხმარებელთა სათბობით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის პროექტი, მანამდე კი ენერგეტიკის სამინისტრო ახორციელებს რეგიონების გაზიფიცირებას. თუმცა, ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ამ ღონისძიებათა ტემპი და ეფექტურობა არასაკმარისია და აუცილებელია უფრო ენერგიული და მრავალმხრივი ქმედება.

გაზიფიცირება მხოლოდ ნაწილობრივ წყვეტს პრობლემას, ვინაიდან, მიუხედავად გაზიფიცირებისა, სოფლის მცირეშემოსავლიანი მოსახლეობა გასათბობად მაინც შეშას იყენებს. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიით დგინდება, რომ გამოკვლეულ რაიონებში აბონენტების 53% სათბობად გაზს საერთოდ არ იყენებს, ხოლო 10-15% გაზით მხოლოდ ნაწილობრივ თბება. მოშორებული რეგიონების გაზიფიცირება ეკონომიკურად გაუმართლებელ ხარჯებსა და დროს მოითხოვს. ამასთან, მოსახლეობის მიერ გაზის მოხმარების გაზრდა საქართველოს უფრო მეტად გახდის დამოკიდებულს გარე წყაროებზე/იმპორტირებულ რესურსებზე. ეს გამოიწვევს შეშით გათბობასთან დაკავშირებული შიდა ეკონომიკური აქტივობის შეჩერებას, რომლის მოცულობაც წელიწადში 150-200 მილიონ ლარს შეადგენს. საჭიროა გათბობის ხელმისაწვდომი ალტერნატიული საშუალებების მოძიება, რაც ქვეყნის ეკონომიკასა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას არ დააზარალებს, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

**ინტერპრესნიუსი**


# განცხადებები

## მომსახურება

- სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## მკურნალობა

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.
- ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# კრიშტიანუ რონალდუ ფიფას ვერსიითაც საუკეთესოა




ციურიხში გაიმართა ფიფას გალა დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც 2016 წელი შეჯამდა. 6-წლიანი მეგობრობის შემდეგ „ფრანს ფუტბოლისა“ და ფიფას გზები გაიყარა. თუ 6 წლის განმავლობაში ფიფა და „ფრანს ფუტბოლი“ ერთად აჯილდოვებდნენ წლის საუკეთესოებს, ამჯერად ისინი ცალ-ცალკე ასახელებენ წლის საუკეთესოებს სხვადასხვა ნომინაციებში.

როგორც უკვე იცით, რონალდუმ მოიგო „ფრანს ფუტბოლის“ ოქროს ბურთი, ახლა კი ჯერი ფიფას პრიზზე მიდგა.

ფიფას ვერსიითაც, 2016 წლის საუკეთესო ფეხბურთელი პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ გახდა. რეალის შემტევი, რომელმაც საბოლოო ჯამში ლიონელ მესისა და ანტუან გრიზმანს აჯობა, გულშემატკივართა, ეროვნული ნაკრებების მწვრთნელების, კაპიტნების და ჟურნალისტების ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა.

**კრიშტიანუ რონალდუ:**

– ეს მიღწევა წარმოუდგენელია, მე ძალიან ბედნიერი ვარ. ყველას დიდი მადლობა, მეტის დამატება არც მსურს. თავად პრიზი ბევრზე მეტყველებს, ამიტომ უბრალოდ ბედნიერი დავრჩები. პირველ რიგში, მადლობა ჩემს თანაგუნდელებს რეალში და მწვრთნელს. მადლობა ჩემს მეგობრებსა და ოჯახს. 2016 წელი ჩემ საფეხბურთო კარიერაში საუკეთესო წელი იყო. გავიმარჯვე ჩემპიონთა ლიგაზე, ევრო 2016-ზე, სუპერთასზე და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში.

თავად რონალდუმ გამოკითხვაში საუკეთესოდ გარეთ ბეილი დაასახელა, მეორე ადგილზე მან ლუკა მოდრიჩი გაიყვანა, ხოლო მესამეზე – სერხიო რამოსი.

# მათე ცინცაძე: „პოლონეთში გადასვლა განვითარებისთვის მჭირდებოდა“




თბილისის დინამოდან პოლონურ პოგონში ახლახან გადასულმა 21 წლის ნახევარმცველმა მათე ცინცაძემ უკვე მოასწრო იქაურ მედიასთან საუბარი.

***– თბილისის დინამო საქართველოს საუკეთესო გუნდია. რატომ გადაწყვიტე იქიდან წასვლა?***

– დინამო ისტორიული გუნდია და მისი ძალიან მადლობელი ვარ, მაგრამ განვითარება უნდა გავაგრძელო. ამისთვის კი სხვა კლუბსა და ჩემპიონატში გადასვლა იყო საჭირო. ვფიქრობ, პოგონი და პოლონეთის ჩემპიონატი განვითარებისთვის სათანადო ადგილია.

***– რა იყო ის მთავარი მიზეზი, რის გამოც პოგონში თამაში გადაწყვიტე?***

– იყო შემოთავაზებები სხვა კლუბებიდანაც, მაგრამ პოგონი 3-4 თვის განმავლობაში მაკვირდებოდა და მგონია, ჩემი განვითარებისთვის სწორი არჩევანი გავაკეთე. პოგონში კლუბისთვის საჭირო ფეხბურთელად მთვლიდნენ და საყრდენი პოზიციის გაძლიერება სურდათ. აქ მოსვლა ჩემთვის ახალი შანსი და გამოწვევაა. სხვა გზა არ მაქვს – კარგად უნდა ვითამაშო და ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთო.

***– ეს შენი პირველი უცხოური კლუბია. შესაგუებლად დრო გჭირდება?***

– დრო ნამდვილად მნიშვნელოვანია, მაგრამ არ მგონია ამას დიდი დრო დასჭირდეს. კლუბში მეგობრული გარემოა, სამწვრთნელო შტაბიც მეხმარება, რომ თავი უცხოდ არ ვიგრძნო. ჩემი მოვალეობა კი, თამაშია და საამისოდ თავს არ დავზოგავ.

***– მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, არაერთი ტიტული გაქვს მოგებული. შენი აზრით, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი იყავი?***

– მიჭირს ამ თემაზე საუბარი. საქართველოში ბევრი კარგი ახალგაზრდა ფეხბურთელია, უბრალოდ, განვითარებისთვის პირობები სჭირდებათ.

***– პოგონში ლადო დვალიშვილს უთამაშია. თუ ესაუბრე აქაურობაზე?***

– ენის შესახებ ვკითხე. არ არის მარტივი, თუმცა ქართული ენაც რთულია. რუსულ ენას ვფლობ და ეს ბევრი რამის გაგებაში მეხმარება. ლადო აქ თამაშობდა და მას ბევრი ეცოდინებოდა აქაურობაზე, ამიტომ რჩევები ვკითხე და მისი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია და მადლობა მას ამისთვის.

***– ჟურნალისტებთან და გულშემატკივართან ურთიერთობა მოგწონს?***

– ყველა ფეხბურთელი კლუბისა და გულშემატკივრისთვის თამაშობს. თბილისის დინამოს რამდენიმე ფანკლუბი ჰყავდა და ყველასთან კარგი ურთიერთობის ქონას ვცდილობდი. თამაშების შემდეგ ბავშვები მაისურებსა და ავტოგრაფებს მთხოვდნენ. მათთან ურთიერთობა ჩემი ისეთივე მოვალეობაა, როგორც ჟურნალისტებთან.

***– 2016 წლის დიდი ნაწილი ტრავმის გამო გამოტოვე. ახლა როგორ ხარ?***

– ამ ტრავმის გამო არაერთი პრობლემა შემექმნა. მარჯვენა ფეხზე ოპერაცია გავიკეთე, რის გამოც 2015-16 წლების სეზონი მთლიანად გამოვტოვე. გარდა ამისა, დინამოს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც ვერ დავეხმარე. ახლა კარგად ვარ. ჩემპიონატის ბოლო რამდენიმე შეხვედრა ჩავატარე და საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებშიც ვითამაშე.

***– პოგონის წლევანდელი მიზნების შესახებ რა იცი?***

– გუნდი მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გადის. ახლა მე-7 ადგილზე ვართ და წინ მნიშვნელოვანი თამაშები გველის.

***– როგორც განაცხადე, ძალიან მოგეწონა პოგონის სტადიონი.***

– ნებისმიერ შემთხვევაში, აქაური სტადიონები საქართველოსაზე უკეთესია. არ ვგულისხმობ თბილისის დინამოს.

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ზამთრის თასს უმასპინძლებს




2017 წლის 13, 14 და 15 იანვარს თბილისის ოლიმპიური სასახლე სფფ-ის ზამთრის თასს უმასპინძლებს.

15 იანვარს გულშემატკივარს ოლიმპიურ სასახლეში ესპანეთის, უკრაინის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საფეხბურთო ვარსკვლავების თამაშის ხილვა შეეძლებათ. ზამთრის თასზე თბილისს მსოფლიო დონის გამორჩეული ფეხბურთელები ესტუმრებიან. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს უეფას გუნდიც.

გათამაშების ბილეთების გაყიდვა 15 იანვარს, თბილისის ოლიმპიურ სასახლეში დაიწყება და მისი ფასი 2 ლარი იქნება. ბილეთების რეალიზაციიდან შემოსული თანხა სრულად გადაირიცხება დავით პეტრიაშვილის სახელობის ფონდში, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით დაარსდა.

ფონდის ძირითადი საქმიანობა საგანმანათლებლო ხასიათისაა და საფეხბურთო თემატიკით დაინტერესებულ ახალგაზრდებს პროფესიულ წინსვლაში დაეხმარება.

დარბაზის ფეხბურთის ფესტივალის ფარგლებში, 13-14 იანვარს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 16 გუნდს შორის ჯგუფურ ეტაპზე ნახევარფინალისტები გამოვლინდებიან, რომლებიც 15 იანვარს გამოარკვევენ ჩემპიონის ვინაობას. ეროვნული ჩემპიონატის კლუბების გათამაშებაზე დასწრება 13, 14 იანვარს უფასოა.

ვარსკვლავთა ნაკრებები 2 ჯგუფში არიან გადანაწილებული:

**ა ჯგუფი:** საქართველო, თურქეთი, უეფა;

**ბ ჯგუფი:** ესპანეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი.

ეროვნული ჩემპიონატის კლუბები კი, 4 ჯგუფში არიან გადანაწილებული:

**ა ჯგუფი:** ტორპედო, დილა, გაგრა, შევარდენი 1906;

**ბ ჯგუფი:** ჩიხურა, საბურთალო, სიონი, მერანი;

**ც ჯგუფი:** დინამო (ბთ), კოლხეთი, ვიტ ჯორჯია, თელავი;

**დ ჯგუფი:** სამტრედია, დინამო (თბ), შუქურა, მეშახტე.

გულშემატკივარს ფესტივალის პირდაპირი ტრანსლაციის ხილვის საშუალება სფფ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე ექნება. ვარსკვლავების ფინალს კი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემოგთავაზებთ.

# ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მე-12 მემორიალი ქუთაისში გაიმართება




ოლიმპიური ჩემპიონების – ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის მემორიალური ტურნირი წელს 14-დან 18 იანვრის ჩათვლით გაიმართება და მას ოლიმპიური ჩემპიონების მშობლიური ქალაქი ქუთაისი უმასპინძლებს. აღნიშნული ტურნირი 2006 წლიდან იმართებოდა თბილისში, ხოლო ბოლო 2 წელია მას იმერეთის დედაქალაქი მასპინძლობს.

მემორიალში მონაწილეობას სუპერლიგის 5 და „ა“ ლიგის 3 გუნდი მიიღებს. გუნდები 2 ჯგუფში არიან განაწილებულნი და 1 წრის თავზე პირველ ადგილზე გასულები ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან.

ჯგუფური ეტაპის მატჩები 14, 15 და 16 იანვარს გაიმართება. ფინალში გასული გუნდები სატიტულო მატჩში ერთმანეთს მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის ქუთაისის სპორტის სასახლეში 18 იანვარს შეხვდებიან. გამარჯვებულს ოლიმპიური ჩემპიონების სახელობის გარდამავალი თასი გადაეცემა, ხოლო ტურნირზე დაწესებული იქნება ინდივიდუალური პრიზებიც – საუკეთესო უკანახაზელისა და ფორვარდისთვის.

**ა ჯგუფი:** ქუთაისი, სოხუმი, სეუ, წყალტუბო;

**ბ ჯგუფი:** რუსთავი, კაკტუსი, მგზავრები, არენა.

ქორქია-საკანდელიძის მემორიალი 3-ჯერ აქვს მოგებული ენერჯი-ინვესტს (2007, 2009, 2010), თითოჯერ იმარჯვეს – რუსთავმა (2006), ავიამშენმა (2008), თსუ-მ (2011), არმიამ (2012), ოლიმპმა (2013), დინამომ (2014), შსს-მ (2015) და ქუთაისმა (2016).

# ფიფამ მუნდიალზე გუნდების რაოდენობის გაზრდას მხარი დაუჭირა




როგორც უკვე ვწერდით, ფიფას კონგრესის სხდომაზე მსოფლიო ჩემპიონატის გაფართოების შესახებ ცვლილებებს შეიტანს და ასეც მოხდა – მუნდიალის 48 გუნდამდე გაზრდას მხარი დაუჭირეს.

მუნდიალის ახალი ფორმატი ძალაში 2026 წლიდან შევა. 48 გუნდი 16 სამგუნდიან ჯგუფში გადანაწილდება.

ჩემპიონატზე 16 ჯგუფში 3-3 გუნდი მოხვდება გადანაწილდებიან. ჯგუფურ ეტაპზე მატჩები ფრედ აღარ დასრულდება. იმ შემთხვევაში თუ ჯგუფში რომელიმე თამაშში საყაიმო ანგარიში დაფიქსირდება, გუნდები დამატებითი დროის გარეშე პენალტების სერიას გაითამაშებენ და გამარჯვებულს გამოავლენენ.

გაფართოებულ მუნდიალზე მატჩების რაოდენობა კი 64-დან 80-მდე გაიზრდება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფინალისტ გუნდებს მაინც 7 თამაშის ჩატარება მოუწევს.

ევროპული ტოპ კლუბების მოთხოვნების გათვალისწინებით, ტურნირი 32 დღეს გასტანს.

ფიფას გაანგარიშებით ახალი ფორმატი მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარებით მიღებულ შემოსავლებსაც 20 პროცენტით – 6,5 მილიარდ დოლარამდე გაზრდის.

ფიფას პრეზიდენტი ჯანი ინფანტონო მუნდიალზე მოთამაშე გუნდების რაოდენობის გაზრდის ინიციატივით ჯერ კიდევ არჩევნებამდე გამოვიდა. ახალი ფორმატის დამტკიცება მოულოდნელი არ ყოფილა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ახალი ფორმატის სხვა დეტალები უახლოეს ხანში გახდება ცნობილი.

# შედეგები

**9 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

მაროკო-ფინეთი ............................ 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ოსასუნა-ვალენსია ........................ 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 16 | 12 | 4 | 0 | 45-14 | 40 |
| 2.სევილია | 17 | 11 | 3 | 3 | 36-21 | 36 |
| 3.ბარსელონა | 17 | 10 | 5 | 2 | 42-17 | 35 |
| 4.ატლეტიკო | 17 | 9 | 4 | 4 | 31-14 | 31 |
| 5.ვილიარეალი | 17 | 8 | 6 | 3 | 26-12 | 30 |
| 6.სოსიედადი | 17 | 9 | 2 | 6 | 28-25 | 29 |
| 7.ბილბაო | 17 | 8 | 3 | 6 | 22-19 | 27 |
| 8.ლას პალმასი | 17 | 6 | 6 | 5 | 27-24 | 24 |
| 9.სელტა | 17 | 7 | 3 | 7 | 28-32 | 24 |
| 10.ეიბარი | 17 | 6 | 5 | 6 | 22-22 | 23 |
| 11.ესპანიოლი | 17 | 5 | 8 | 4 | 21-23 | 23 |
| 12.ალავესი | 17 | 5 | 7 | 5 | 15-17 | 22 |
| 13.მალაგა | 17 | 5 | 6 | 6 | 26-29 | 21 |
| 14.ბეტისი | 17 | 6 | 3 | 8 | 20-29 | 21 |
| 15.დეპორტივო | 17 | 4 | 5 | 8 | 23-28 | 17 |
| 16.ლეგანესი | 17 | 4 | 4 | 9 | 13-29 | 16 |
| 17.ვალენსია | 16 | 3 | 4 | 9 | 24-32 | 13 |
| 18.ხიხონი | 17 | 3 | 3 | 11 | 17-34 | 12 |
| 19.გრანადა | 17 | 1 | 6 | 10 | 14-38 | 9 |
| 20.ოსასუნა | 17 | 1 | 5 | 11 | 16-37 | 8 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-ბელენენსეში ............. 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანათინაიკოსი-კერკირა ............... 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა იწვევს ასთმას

**ასთმა იმ დაავადებათა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებსაც მუდმივი კონტროლი სჭირდებათ.**

**ბრონქული ასთმა სასუნთქი გზების დაზიანებით მიმდინარე ქრონიკული მორეციდივე დაავადებაა, რომელიც ხასიათდება სასუნთქი გზების ანთებითა და ჰიპერრეაქტიულობით სხვადასხვა გამღიზიანებლის მიმართ.**

**რა არის ასთმა, რა სიმპტომები ახასიათებს მას, არსებობს თუ არა რისკფაქტორები, როგორ ხდება მისი გავრცელება და რა შემთხვევებში უნდა მივმართოთ ექიმს?**

**ასთმასთან დაკავშირებულ ამ და სხვა საინტერესო კითხვებს თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმი-ალერგოლოგი სოფო ყიფშიძე პასუხობს.**

ეკა ირემაშვილი



**სოფო ყიფშიძე:**

– ბრონქული ასთმა სასუნთქი გზების დაზიანებით მიმდინარე ქრონიკული მორეციდივე დაავადებაა, რომელიც ხასიათდება სასუნთქი გზების ანთებით და ჰიპერრეაქტიულობით სხვადასხვა გამღიზიანებლის მიმართ. ჰიპერრეაქტიულობა იწვევს სასუნთქი გზების ობსტრუქციას. ობსტრუქციის ხარისხი საკმაოდ ვარირებს თითოეულ პაციენტში. ასთმა ქრონიკული დაავადებაა და ახასიათებს გამწვავებები.

***– რა სიმპტომები ახასიათებს?***

– ბრონქული ასთმის გამოვლინებით სხვადასხვა სიმძიმისაა და ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარია. ზოგიერთს ოდნავ აქვს გამოხატული სიმპტომები. შეტევები და ხიხინი იშვიათია, შეტევებს შორის კი ასეთი პაციენტები ხშირად უსიმპტომოები არიან, სუნთქვის გაძნელებას არ უჩივიან. ზოგიერთი თითქმის ყოველთვის ახველებს; ზოგიერთს კი მსგავსი სიმპტომები უმეტესად ღამით ან ფიზიკური დატვირთვისას აწუხებს.

ბრონქული ასთმის ნიშნებიდან მნიშვნელოვანია: ქოშინი ანუ სუნთქვის გაძნელება, გულმკერდში შებოჭვის, ზოგჯერ ტკივილის შეგრძნება, ძილის დარღვევა, რაც სუნთქვის გაძნელებასთან არის დაკავშირებული, ხიხინი, რომელიც ზოგჯერ გარკვეულ მანძილზე აუსკულტაციის გარეშეც კარგად ისმის, განსაკუთრებით ძლიერდება ამოსუნთქვისას, ხველისა და ხიხინის გაძლიერება ზემო სასუნთქი გზების ვირუსული ინფექციისას. როგორც წესი, შეტევის მიზეზს წარმოადგენს აქტიური კონტაქტი ტრიგერთან, მაგალითად, კვამლთან, ან ალერგენთან.

ჰაერგამტარი გზების ჰიპერრეაქტიულობა და ფილტვის ფუნქციის გაუარესება იწვევს დაავადების გამწვავებას. შეტევები ადვილად პროვოცირდება, უფრო მძიმეა და პერსისტირებს.

***– რა ფაქტორები ზრდის სასუნთქი გზების ჰიპერაქტიულობას?***

– ფაქტორებს, რომლებიც ზრდის სასუნთქი გზების ჰიპერაქტიულობას, მიეკუთვნება ვირუსული ინფექციები, ალერგენები, ასევე საწარმოო ნარჩენებთან კონტაქტი, რაც ხელს უწყობს დაავადების გამწვავებას.

***– ასთმის გამომწვევი რა რისკ-ფაქტორები არსებობს?***

– არსებობს მიზეზობრივი და ხელშემწყობი ფაქტორები. მიზეზობრივი ფაქტორებია შენობისშიდა ალერგენები, ოთახის მტვრის ტკიპები, ცხოველური წარმოშობის ალერგენები, ტარაკანის ალერგენები, სოკოები. ასევე შენობისგარე ალერგენები – ყვავილის მტვერი, სოკოები, ასპირინი, პროფესიული მასენსიბილიზებელი აგენტები.

ხელშემწყობი ფაქტორებია რესპირატორული ინფექციები, დაბადებისას მცირე წონა, დიეტა, ჰაერის დაბინძურება: შენობისგარე და შენობისშიდა დამაბინძურებელი; თამბაქოს მოწევა: პასიური და აქტიური მოწევა.



ასევე არსებობს ფაქტორები რომლებიც ასთმის გამწვავებას იწვევენ, ესენია: ალერგენები, სასუნთქი გზების ინფექციები, ფიზიკური დატვირთვა და ჰიპერვენტილაცია, ამინდი, გოგირდის ორჟანგი, საკვები, საკვების დანამატები, მედიკამენტები.

***– ასთმის ტიპები თუ არსებობს?***

– ბრონქული ასთმის კლასიფიკაცია ეყრდნობა დაავადების ეტიოლოგიას, სიმძიმესა და ობსტრუქციის ხარისხს და იყოფა ინტერმისიულ, მსუბუქ პერსისტიულ, საშუალო პერსისტიულ და მძიმე პერსისტიულ ფორმებად.

ინტერმისიული (გარდამავალს) – მსუბუქი შეტევები კვირაში ორჯერ და ღამით – თვეში ორჯერ;

მსუბუქ პერსისტიული (მუდმივს) – შეტევა კვირაში ორზე მეტია, მაგრამ დღეში არა უმეტეს ერთისა;

საშუალო სიმძიმის პერსისტიული – სიმპტომები დღეში ერთხელ, ღამით კვირაში ერთზე მეტი შეტევა;

მძიმე პერსისტიული – შეტევა ყოველდღიურად ან უმეტესად, ხშირი ღამის შეტევები.

ასთმის სიმძიმის შეფასება ექიმისათვის აუცილებელია, რადგანაც სწორედ მასზეა დამოკიდებული მკურნალობის სქემა და მედიკამენტების არჩევანი.

***– რა გართულებები შეიძლება გამოიწვიოს ასთმამ?***

– არასწორი მკურნალობის პირობებში შეიძლება ასთმა გაღრმავდეს და დაავადებამ მიიღოს უფრო აგრესიული ხასიათი, რაც, თავის მხრივ, ამძიმებს ასთმის მიმდინარეობას და ასევე, პაციენტის ზოგად მდგომარეობას, ტვირთად აწევს სხვა ორგანოთა სისტემებს, მაგალითად, გულ-სისხლძარღვთა სისტემას.

***– როდის უნდა მივმართოთ ექიმს?***

– თუ არსებობს ეჭვი, რომ პიროვნება ასთმით არის დაავადებული, უნდა მიმართოთ ექიმს. ეს ის სიმპტომებია, რომელიც უნდა აძლიერებდეს ასთმაზე ეჭვს: ხიხინი – მაღალი ტემბრის მსტვინავი სუნთქვითი ხმიანობა ამოსუნთქვისას, ხველა ძირითადად ღამე, შექცევადი სუნთქვის გაძნელება, შექცევადი გულმკერდის შებოჭილობა, სიმპტომები აღმოცენდება ან ძლიერდება ღამე, რომელიც აღვიძებს პაციენტს, სიმპტომები აღმოცენდება ან ძლიერდება სეზონურად. ჩამოთვლილი სიმპტომების არსებობა ან გაძლიერება შემდეგი ფაქტორების არსებობისას: ბეწვიანი ცხოველი, ქიმიური აეროზოლები, ტემპერატურული ცვლილებები, ოთახის მტვრის ტკიპები, მედიკამენტები ასპირინი, ბეტა-ბლოკერები, ფიზიკური დატვირთვა, თამბაქოს კვამლი, ძლიერი ემოციები, ეგზემა, პოლინოზი, ასთმის და ატოპიის ოჯახური ისტორია.

***– როგორ შეიძლება მოვუაროთ ასთმით დაავადებულს ექიმის მოსვლამდე?***

– პირველ რიგში, თუკი ეს შესაძლებელია, პაციენტს უნდა მოვაშოროთ ის რისკ-ფაქტორი, რომელმაც გამოიწვია შეტევის განვითარება, მოვათავსოთ მისთვის სასურველ პოზაში და მივაშველოთ სწრაფი მოქმედების პრეპარატი, რომელიც წინასწარ შერჩეულია ექიმის მიერ. თუ პაციენტის მდგომარეობა კრიტიკულია, უმჯობესია, მოხდეს სასწრაფო დახმარების გამოძახება, მას შემდეგ, რაც პაციენტი შეისუნთქავს, ან შეასუნთქებენ სწრაფი მოქმედების პრეპარატების პირველ დოზას.

***– ასთმა იკურნება?***

– ამ ეტაპზე მიიჩნევა, რომ ასთმა ბოლომდე განკურნებადი არ არის, თუმცა თანამედროვე მედიცინა იძლევა მისი სრული კონტროლის საშუალებას, რა თქმა უნდა, სწორი დიაგნოზის, მკურნალობის და პაციენტის სრული ინფორმირების საშუალებით.

***– როგორი ცხოვრების წესი უნდა ჰქონდეს ასმით დაავადებულს?***

– გამოიყენეთ კონდიციონერი. ის თავიდან აგაცილებთ გარემოში არსებული ალერგენების ოთახში მოხვედრას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცენარეთა ყვავილობის პერიოდში. გარდა ამისა, კონდიციონერი ამცირებს ჰაერის ტენიანობას. არ დაგავიწყდეთ კონდიციონერში ფილტრის რეგულარული ცვლა. თუ კონდიციონერი არ გაქვთ, სასურველია, მცენარეთა ყვავილობის პერიოდში ფანჯრები იშვიათად გააღოთ.

ერიდეთ ოთახში მტვრის დაგროვებას. საამისოდ მინიმუმამდე შეამცირეთ ბალიშების, რბილი ავეჯის რაოდენობა, ზედაპირზე კი ისეთი ნაჭერი გადააკარით ან გადააფარეთ, რომელიც მტვერს ნაკლებად აგროვებს. გაიტანეთ ხალიჩები. ფარდები მსუბუქი ქსოვილის ჩამოკიდეთ. ეცადეთ, ოთახში ტენი ნაკლები იყოს. მოგიწევთ, დაემშვიდობოთ ცხოველებსა და ფრინველებს, დარწმუნდეთ, რომ ოთახის მცენარე ალერგენი არ არის.

რეგულარულად დაალაგეთ ოთახი სველი წესით. მსუბუქი ვარჯიში ხელს შეუწყობს სასუნთქი სისტემისა და გულის ფუნქციის გაუმჯობესებას. ჭარბი წონა ამძიმებს ასთმის მიმდინარეობას. თუ ხშირად გაწუხებთ გულძმარვა, მიმართეთ ექიმს, ვინაიდან გასტროეზოფაგური რეფლუქსური დაავადება ასთმის მიმდინარეობას ამძიმებს.


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


## ასტროპროგნოზი
### 11 იანვრისათვის



**ვერძი** – ნებისმიერ საკითხს გონივრულად მიუდექით. საქმე აუჩქარებლად და დაკვირვებით აკეთეთ. **კურო** – ნერვები მოთოკეთ და ეცადეთ, არ გადაიღალოთ. დიდი ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას. **ტყუპები** – მამაკაცების საყურადღებოდ – იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **კირჩხიბი** – გარშემომყოფებთან სტაბილური ურთიერთობა ყალიბდება. ეს დღე საყვარელი ადამიანების გარემოცვაში გაატარეთ. **ლომი** – წინააღმდეგობრივი პერიოდია. დღის პირველ ნახევარში სასიამოვნო შეხვედრა გელით. საღამოს საკუთარი ქედმაღლობის გამო პრობლემები შეგექმნებათ. **ქალწული** – თავი აარიდეთ ინტრიგან და შურიან ადამიანებთან ურთიერთობას. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ. **სასწორი** – დაძაბულობა და გადაღლა ნერვულ სტრესამდე და ავადმყოფობამდე მიგიყვანთ. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ღრიანკალი** – ილუზიებსა და ცდუნებას ნუ აჰყვებით. გულიდან განაგდეთ ყოველგვარი ბრაზი და ბოღმა. სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **მშვილდოსანი** – ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **თხის რქა** – სულიერ სრულყოფასა და ზნეობრიობაზე იზრუნეთ. წვრილმანებს ნუ გამოედევნებით. **მერწყული** – ნერვებს გაუფრთხილდით. კონფლიქტი გარშემომყოფებთან სტრესსა და შფოთვას გამოიწვევს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **თევზები** – სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით – მძღოლებს. საქმიან პარტნიორებთან პატარა გაუგებრობაა მოსალოდნელი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი; 2. ბრიტანელი პოლიციელი; 3. ლიტერატურული ან სამეცნიერო ნაშრომის კრიტიკული შეფასება; 4. ტვინის შერყევა; 5. დენის ძალის საზომი ერთეული; 9. ისრაელის დაზვერვა; 11. გემის ან თვითმფრინავის დაქირავება გარკვეული ვადითა და პირობებით; 12. სითხეების, აირების მინარევებისგან გამწმენდი საშუალება; 14. მე-17 საუკუნის გერმანელი ასტრონომი; 18. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება; 19. ტვირთბრუნვით ირანის ყველაზე დიდი ნავსადგური სპარსეთის ყურეში.

**თარაზულად**: 4. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 5. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 6. ბერების სადგომი მონასტერში; 7. აკრძალვა ტვირთის, პროდუქციის შემოტანაზე სახელმწიფოში; 8. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 10. ნავსადგური ყირიმში; 13. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 15. მდინარე ციმბირში; 16. შტატი აშშ-ში; 17. საცხენოსნო შეჯიბრება; 20. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 21. ქართული რადიო; 22. ცნობილი უნგრელი მოჭადრაკე დების გვარი; 23. კუთხე საქართველოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „იკაო“; 2. ნიყვი; 3. უჯარმა; 5. „ზვარე“; 6. ლუიზიანა; 8. იქთიოლოგია; 10. აგარანი; 12. დელფინი; 14. ალგეთი; 15. ღიღინი; 16. ლხასა.

**თარაზულად:** 1. იგუანა; 4. „იზაბელა“; 7. ჯოყოლა; 9. მოხერი; 11. ათაბაგი; 12. დეკაგონი; 13. ორვილე; 17. „მილანი“; 18. აგრა; 19. ინანთეული; 20. „კავასაკი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პორტერი; 2. საკვოაიჟი; 3. სკრეპერი; 4. დამიანე; 5. ეკლერი; 9. რეიმსი; 11. „ჯეოსელი“; 12. კაზუსი; 14. ტრაპერი; 18. ოდინი; 19. ღალია.

**თარაზულად:** 4. დავოსი; 5. ესპანეთი; 6. რკინა; 7. ომმეტრი; 8. „ქვევრი“; 10. მენჯი; 13. როტარუ; 15. იგრიკა; 16. როსი; 17. პესო; 20. პეგასი; 21. მიზერი; 22. ჭანჭური; 23. ილვესი.

## დღის კალენდარი

### 11 იანვარი



**წლის მე-11 დღე, ახალ წლამდე დარჩა 354-ე დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

ხსენება 14 ათასი წმიდა მოწამე ჩვილი ყრმისა, ჰეროდე მეფის დროს ამოწყვეტილთა ქრისტესთვის იუდეაში (ბეთლემში); ღირსი მამების: მარკელისა, „დაუძინართა“ სავანის წინამძღვარისა და თადეოზ აღმსარებელისა, თეოდორე სტუდიელის მოწაფისა. ხსენება მართლისა იოსებ დამწინდველისა, დავით მეფისა – ფსალმუნთა მთქმელისა და იაკობისა, ძმისა უფლისა.

14 ათასი წმიდა მოწამე ყრმა ჰეროდე მეფის მიერ იქნენ ამოწყვეტილნი იუდეას ქალაქ ბეთლემში ღვთაებრივი ყრმის – იესო ქრისტეს შობის შემდეგ. როცა დადგა ჟამი უდიდესი მოვლენის აღსრულებისა – ღვთის ძის განხორციელებისა – მისი შობისა ყოვლადუბიწო ქალწულისაგან, მაშინ აღმოსავლელმა მოგვებმა ცაზე ახალი კაშკაშა ვარსკვლავი დაინახეს, რომელიც მომასწავებელი იყო იუდეველთა მეფის შობისა. ისინი დაუყოვნებლივ გაემართნენ იერუსალიმს და მთელი გზის მანძილზე მათ ის ნათელი ვარსკვლავი მოუძღოდათ მეგზურად. მას შემდეგ, რაც თაყვანი სცეს ახლად შობილ მხსნელს ქვეყნისას, ისინი იერუსალიმში აღარ დაბრუნებულან ჰეროდესთან, რომელსაც იუდეველთა მომავალი მეფის ადგილსამყოფელის შეტყობა სურდა მათგან, არამედ სხვა გზით დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში. მაშინ ჰეროდე მეფე მიხვდა, რომ მისი განზრახვა ეპოვა ახლადშობილი და მოეკლა იგი, ვერ განხორციელდება. ამის გამო მან ბრძანა ყველა ახლადშობილი ყრმა მამრობითი სქესისა და ორ წლამდე ასაკისა ამოეწყვიტათ ბეთლემში, რადგან იმედი ჰქონდა, რომ მათ შორის ღვთაებრივი ყრმაც აღმოჩნდებოდა, რომელშიც იუდეველთა მეფე თავის მომავალ მეტოქეს ხედავდა. ბეთლემს ჰეროდე მეფის ბრძანებით ამოწყვეტილნი ყრმანი პირველი მოწამენი იყვნენ ქრისტესათვის.

ღირსი მამა თადეოზ აღმსარებელი მოწაფე იყო ღირსი თეოდორე სტუდიელისა. ხატმბრძოლი მწვალებლობის დროს იგი თავის დიდ მასწავლებელთან ერთად მხნედ იცავდა ჭეშმარიტ აღმსარებლობას და უკეთური იმპერატორის ლევ V სომეხის დროს ევნო წმინდა ხატების თაყვანისცემისთვის.

**დაიბადნენ:**

1503 – ფრანჩესკო პარმიჯანინო (მაცოლა), იტალიელი ფერმწერი. გარდაიცვალა 1540 წელს.

1859 – ჯორჯ კერზონი, ინგლისელი პოლიტიკოსი და დიპლომატი. გარდაიცვალა 1925 წელს.

1903 – ბენჯამინ სპოკი, ცნობილი ამერიკელი პედიატრი. გარდაიცვალა 1998 წელს.

1907 – პიერ მენდეს-ფრანსი, ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. გარდაიცვალა 1982 წელს.

1916 – ბერნარ ბლიე, ფრანგი კინომსახიობი. გარდაიცვალა 1989 წელს.

1929 – რაფაელ ეიტანი, ისრაელის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე.

1941 – გოჩა ჩოგოვაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

1956 – დავით ანდღულაძე, რეჟისორი.

**გარდაიცვალნენ:**

1055 – კონსტანტინე IX მონომახი, ბიზანტიის იმპერატორი 1042-1055 წლებში.

1786 – მოზეს მენდელსონი, გერმანელი განმანათლებლობის იდეალისტური ფრთის წარმომადგენელი.

1798 – ერეკლე II, კახეთის მეფე (1744-1762), ქართლ-კახეთის მეფე (1762-1798).

1977 – ვლადიმერ (ლადო) გრიგოლია, ქართველი გრაფიკოსი და მოქანდაკე, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი.

**მოვლენები:**

1698 – „დიდი ელჩობა“ პეტრე I-ის ხელმძღვანელობით ლონდონში ჩავიდა. პეტრე I-მა მოინახულა გრინვიჩის ობსერვატორია, ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისის სამეფო სამეცნიერო საზოგადოება.

1787 – ინგლისელმა ასტრონომმა უილიამ ჰერშელმა აღმოაჩინა ურანის ორი თანამგზავრი: ობერონი და ტიტანი.

1867 – ბენიტო ხუარესი ფრანგული ჯარების გასვლისა და იმპერატორ მაქსიმილიანის სიკვდილის დასჯის შემდგომ მექსიკის პრეზიდენტი გახდა.

1943 – დიდმა ბრიტანეთმა ხელშეკრულება დადო ჩინეთთან, რომლის მიხედვითაც უარს ამბობდა თავისი სამფლობელოების ექსტერიტორიულ უფლებებზე ამ ქვეყანაში.

1952 – შეიქმნა გაეროს კომისია განიარაღების საკითხებში.

1960 – ჩადის რესპუბლიკა დამოუკიდებელი გახდა.

1966 – გაიხსნა თბილისის მეტროპოლიტენი.

1989 – 149 ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღისა და მომწამვლელი აირის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

1994 – მუშაობას შეუდგა რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – ფედერალური კრება.

## სამგლოვიარო განცხადებები

გამომცემლობა „ინტელექტი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი პოეტის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის

**ანაიდ ბოსტანჯიანის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## გიორგი ოვაშვილმა „ხიბულაზე“ მუშაობა დაასრულა




გიორგი ოვაშვილმა თავის ახალ ფილმზე, სახელწოდებით „ხიბულა“, მუშაობა დაასრულა. ფილმი საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეხება და ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიას ასახავს.

პრეზიდენტის როლს ფილმში უცხოელი მსახიობი ასრულებს. რეჟისორის თქმით, ყველაზე დიდ დროს სწორედ მსახიობების შერჩევაართმევს, რადგან ფილმზე მუშაობისას ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია.

„ხიბულას“ პრემიერა 2017 წელს არის დაგეგმილი.

## ახმეტელის თეატრის მსახიობის გადასარჩენად საქველმოქმედო საღამო გაიმართება

სამტრედიაში, ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში, საქველმოქმედო საღამო-კონცერტი გაიმართება.

ღონისძიება ახმეტელის თეატრის მსახიობ ვალერი ტორონჯაძის დასახმარებლად გაიმართება. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და ძვირადღირებული ქიმიური პრეპარატები ესაჭიროება.




23 იანვარს დაგეგმილ საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ანდრია გველესიანი, ნიკოლ-შოუ, დათო არჩვაძე, გიორგი პავლიაშვილი, იგივე მასტერი, გიორგი ცხადაძე, ლელა სტურუა, ჯგუფი იქსი.

საქველმოქმედო კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 10 ლარია.

ვალერი ტორონჯაძის დასახმარებლად თიბისი ბანკში სპეციალური ანგარიშია გახსნილი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## „გასარკვევია, რას ნიშნავს ტრამპის სურვილი და როგორ აისახება ეს საქართველოს მსგავს ქვეყნებზე“

აშშ-ის ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელ ვიცეპრეზიდენტ დეიმონ უილსონს ამერიკული რადიოსადგურის კორესპონდენტი ესაუბრა, რომელმაც ამერიკელი სენატორების ჯონ მაკეინის, ლინდსი გრემისა და ემა კლობუჩარის საქართველოში განხორციელებული ვიზიტი და ამერიკა-საქართველოს შორის სამომავლო-სავარაუდო ურთიერთობები შეაფასა.

***– როგორ შეაფასებდით სამი სენატორის ორპარტიულ დელეგაციას საქართველოში, მათ ვიზიტს ასევე უკრაინაში და რა გზავნილი მიიღეს ამ ვიზიტით მოსკოვსა და ვაშინგტონში?***

– სენატორების ჯონ მაკეინის, ლინდსი გრემისა და ემა კლობუჩარის საქართველოში სტუმრობა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ვიზიტს წინასწარ განზრახული ამოცანები ჰქონდა.

სენატორები შეეცადნენ, დაეგზავნათ მკაფიო შეტყობინებები. მათ იმოგზაურეს ბალტიისპირეთში, შემდეგ – უკრაინასა და საქართველოში, რათა მოკავშირეები და პარტნიორები ამ ქვეყნების მიმართ აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერაში დაერწმუნებინათ. ამავე დროს, სენატორების გზავნილები ვაშინგტონისა და მოსკოვისთვისაც იყო განკუთვნილი.

მოსკოვის გასაგონად ითქვა, რომ, იმის მიუხედავად, თუ რა ისმის ხელისუფლების გადაბარების ფონზე ან პირადად არჩეული პრეზიდენტისგან, აშშ-ის კონგრესი და სენატი გააგრძელებენ მოკავშირეთა ძლიერ მხარდაჭერას, ეჭვითა და შეშფოთებით შეხედავენ რუსეთის ქმედებებს და იმოქმედებენ უფლებამოსილების ფარგლებში, რათა აშშ წინ აღუდგეს ვლადიმირ პუტინის ავანტიურიზმს და მხარი დაუჭიროს სანქციებს.

ვაშინგტონისთვის განკუთვნილი გზავნილი იყო ის, რომ სენატს ჩამოყალიბებული მოსაზრებები აქვს რუსეთის შესახებ, რომ ამ მოსაზრებებს ვერავინ წაუყრუებს და ყველა იმოქმედებს შესაბამისად.

***– შეძლებენ თუ არა აღნიშნული სენატორები აშშ-ის მომავალ ადმინისტრაციაზე გავლენის მოხდენას საკუთარი პოზიციების დასაცავად და რეგიონის ქვეყნების გვერდში დგომას?***

– ვფიქრობ, ჯერ ისევ გაურკვეველია, რა პოლიტიკას გაატარებს ახალი ადმინისტრაცია საქართველოს მსგავსი ქვეყნების მიმართ. პოლიტიკის შესამუშავებლად ბევრი სამუშაოა გასაწევი. სენატი და სენატორები ამბობენ, რომ მათთვის ყველაფერი ცხადია, რომ აქვთ სტრატეგია და აპირებენ სენატის, როგორც საკანონმდებლო ორგანოს, უფლებამოსილების გამოყენებას, რათა დაეხმარონ ადმინისტრაციას ისეთი პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც რუსეთს აშშ-ის ინტერესების მოწინააღმდეგედ წარმოაჩენს, შეზღუდავს ადმინისტრაციის ნაბიჯებს, რომელიც მან, შესაძლოა, მოსკოვთან მიმართებით გადადგას და მკაფიოდ იტყვის, რომ ჩვენი ურთიერთობები ნატოელ მოკავშირეებსა და ბალტიის ქვეყნებთან ხელშეუვალია და რომ აშშ-ის სენატი მხარს უჭერს საქართველოს, მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

***– რის თქმა მოახერხეს მათ ოფიციალური თბილისისთვის და რა იყო აქ ყველაზე საყურადღებო?***

– ვფიქრობ, სენატორების გზავნილები მრავალმხრივი იყო. პირველ რიგში, გზავნილი, რომ შეერთებულ შტატებში ხელისუფლების გადაბარების მიუხედავად, გაგრძელდება საქართველოს სახელმწიფოსა და მისი დემოკრატიის მხარდაჭერა; რომ აშშ-მ მხარი უნდა დაუჭიროს საქართველოს ძალისხმევას, გააძლიეროს და განავითაროს დემოკრატიული ინსტიტუტები და გააგრძელოს ეკონომიკური რეფორმები.

რუსეთის აგრესიისა და ოკუპაციის შედეგად




ადგილნაცვალ პირთა მონახულება ნიშნავდა, რომ ეს საკითხი არ არის დავიწყებული, რომ არ ვაპირებთ პრობლემის უგულებელყოფას და მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

თუ გახსოვთ, რუსეთი ყოველთვის ცდილობს აშშ-ში ხელისუფლების გადაბარების პროცესით სარგებლობას და ამერიკის ახალ პრეზიდენტთან ურთიერთობის სუფთა ფურცლიდან დაწყებას იმ იმედით, რომ მას ეტყვიან: „რაც იყო, იყო, მოდით, რაიმე ახალი შევქმნათ“. ასეთია ვლადიმირ პუტინის სტრატეგია – დაიმტკიცოს ის, რაც მოიპოვა, მაგრამ სენატორი ჯონ მაკეინი, სენატორი ლინდსი გრემი და სენატორი ემა კლუბუჩარი მას მკაფიოდ პასუხობენ – „მოითმინეთ, თქვენ დაუსჯელად ვერ გააგრძელებთ იმის კეთებას, რაც საქართველოში ჩაიდინეთ“.

***– რამდენად მტკიცედ შეეცდება აშშ-ის მომავალი ადმინისტრაცია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერასა და მისი ინტერესების დაცვას რუსეთთან დიალოგისა თუ ოკუპაციონისტური ხელისუფლების ჰიბრიდული ზრახვების, მოქმედებების გასანეიტრალებლად?***

– ვფიქრობ, კარგი ამბავია ის, რომ დღეს ვაშინგტონში ბევრად უკეთ ესმით რუსეთის სტრატეგია, განსაკუთრებით, რეგიონში. უკეთ ესმით, როგორ იყენებს რუსეთი ინფორმაციას, როგორ წარმართავს პროპაგანდისტულ ომს, საინფორმაციო ომს, ჰიბრიდულ ომს. უკეთ ესმით, რომ რუსეთი მზადაა, გამოიყენოს ძალა, როგორც ეს საქართველოსა და უკრაინაში ვნახეთ.

რუსეთთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, კითხვები აღარ არსებობს. ვაშინგტონის უმეტეს წრეებში და, ცხადია, აშშ-ის კონგრესში, თანხმდებიან, რომ რუსეთმა ჩაიდინა მთელი რიგი ალმაშფოთებელი ქმედებები და რომ შეერთებული შტატები მას წინ უნდა აღუდგეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ახლა უნდა ვნახოთ, როგორ ჩამოაყალიბებს ახალი ადმინისტრაცია თავის პოლიტიკას.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

## პროგრამა

**ოთხშაბათი 11 იანვარი**

**07.00** დოკ/ფ "ადამიანის ბუნება" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** დოკ/ფ "საშობაო განათება" **15.00, 02.00** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00, 03.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** მხ/ფ "**მონა ლიზას ღიმილი**" (ჯ.რობერტსი) **00.00** მხ/ფ "**უამრავი საიდუმლო**" (რ.რედფორდი) **04.00** "პირადი ექიმი"

**08.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **09.00** დ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული სამყარო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "ლეონარდო და ვინჩი" **11.15** მხ/ფ "**ბოროტების ქსელი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" (მიმდინარე დღის) **17.00** დ/ფ "ინკების მარილი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**გულის მუსიკა**" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **8** სერ. **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 6**" **8-9** სერ. **00.00** მხ/ფ "**შესანიშნავი შვიდეული**" **02.15** მხ/ფ "**სტეპფორდელი ცოლები**" **03.35** მხ/ფ "**სიზმრებში**" **05.00** მხ/ფ "**საუკეთესო მსროლელი**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **22.00** კომედი კონცერტი **- 2015** **23.30** კონცერტი "რამიშვილები" **- 2014** დამთავრებისას მხ/ფ მხ/ფ კურიერის დაიჯესტი მხ/ფ

**08.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30** მხ/ფ "**გრავიტაცია**" **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** მხ/ფ "**საქვაბე**" **02.00** მხ/ფ "**ღალატის ფასი**" **04.00** მხ/ფ "**მამაცი**" **06.15** მხ/ფ "**შურისძიება**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დ/ფ "13 ასურელი მამის ნამოღვაწარი" **11.20** ბიბლია ბავშვებისათვის **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "გლიპტიკა და მინანქარი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** პლანეტა დედამიწა "მტკნარი წყლები" **15.45** დ/ფ "ველური ბუნება" **16.00** კონცერტი **16.45** ეპოქა და ადამიანები **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მხიარული რომანი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დეკორატიული ფლორა "ზეთის ხილის ხე" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** დ/ფ "იერუსალიმის ჯვრის მონასტერი-**9** იანვარი **2000** წ." **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **9.00** სერ. "**ქალბატონი**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 15.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი თუ შელებ**" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.40** სერ. "**უცხო**" **1.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 იანვრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.755 |
| ევრო | 2.8969 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.3473 |
| 100 რუსული რუბლი | 4.5988 |

## ამინდის პროგნოზი 11 იანვრისთვის




## 10 იანვრიდან
### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები



ვიქტორ ჰიუგო
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

## იუმორი



ჟურნალისტი ფერმერს ეკითხება:
– თუ შეიძლება, გვითხარით, როგორი წელი გქონდათ?
– არ დამიჯერებთ და – შესანიშნავი. ხორბლის შესანიშნავი მოსავალი მივიღე. კარტოფილიც ბევრი მომივიდა. ღორმა ბევრი გოჭი დაყარა.
– ამ ყველაფრისთვის არ ფიქრობთ, რომ მადლობა გადაუხადოთ ჩვენს მთავრობას?
– კი მაგრამ, რისთვის? თავად დავამუშავე მიწა, თავად დავთესე, მოვუარე, გავზარდე, მოსავალიც თავად ავიღე და დავაბინავე.
– და მაინც, დაფიქრდით, იქნებ...
– დაიცა, დავფიქრდე... ჰო, რაც შეეხება ღორს, ვერაფერს ვიტყვი, ყველაფერი შესაძლებელია...

•••

გამომძიებელი მოწმეს ეუბნება:
– მოქალაქევ, იმედი მაქვს, ამ დაკითხვამ ძალიან არ დაგღალათ.
– არა, რას ამბობთ! უკვე ოცი წელია ცოლიანი ვარ!

•••

სტუმრად მისული ნათესავი მასპინძელს ეკითხება:
– ჭურჭელი რატომაა დალეწილი?
– ვიჩხუბეთ.
– და მდივანი რატომღაა დამტვრეული?
– შევრიგდით.

•••

ახალგაზრდებმა ტბის ნაპირას იქეიფეს და წყალში ბანაობა გადაწყვიტეს, პირველი ერთ-ერთი მამაკაცი შევიდა. მუხლებამდე წყალში მყოფს ნაპირზე მდგომი გოგონები ეკითხებიან:
– წყალი ცივია?
– ჯერ არ ვიცი, დამაცადეთ, თერმომეტრს დავასველებ და მერე გეტყვით.

•••

დედა ქალიშვილს, რომელიც კულინარიულზე სწავლობს, ეკითხება:
– იმის ჭამის უფლებას გაძლევენ, რასაც ამზადებთ?
– გვაიძულებენ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 12 იანვრიდან




### კულინარია ჰობად

ამ წიგნში მოცემულია როგორც კარგად ცნობილი, ასევე უცნობი რეცეპტები, რომელთა მომზადებასაც სახლის პირობებში თითოეული თქვენგანი ძალიან მარტივად შეძლებს.

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

## ლიზა ბათიაშვილის ალბომი საუკეთესოდ დასახელდა




გერმანიაში მოღვაწე ქართველი მევიოლინის ლიზა ბათიაშვილის ალბომი საუკეთესოდ დასახელდა.

უცხოურმა გამოცემამ, რომელიც კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას ემსახურება, ლიზა ბათიაშვილის ალბომი საუკეთესოდ დაასახელა. იანვრის თვის საუკეთესო ალბომების რეიტინგში ქართველი მევიოლინის ალბომი პირველ ადგილზეა.

ლიზა ბათიაშვილმა ალბომი ფრანგ დირიჟორთან და პიანისტთან დანიელ ბარენბოიმთან და ბერლინის სახელმწიფო კაპელასთან ერთად ჩაწერა. ალბომში შესულია ჩაიკოვსკის, სიბელიუსის სავიოლინო კონცერტები.

მევიოლინე უკვე წლებია, გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მისი საგასტროლო გრაფიკი რამდენიმე წლით ადრეა გაწერილი. ლიზა ბათიაშვილი კონცერტებს მსოფლიოს საუკეთესო დარბაზებში მართავს. მას აკომპანემენტს უმაღლესი კლასის ორკესტრები უწევენ, სადირიჟორო პულტთან კი მსოფლიოში აღიარებული დირიჟორები დგანან.

საქართველო ლიზა ბათიაშვილის კონცერტებით განებივრებული არ არის. მისი მოსმენა კლასიკური მუსიკის მოყვარულებს ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ინტერნეტში შეუძლიათ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## რანიერი წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს



იტალიელი სპეციალისტი კლაუდიო რანიერი ფიფამ წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ რანიერის მიერ გაწვრთნილმა ლესტერმა გასულ სეზონში ნამდვილი სასწაული მოახდინა და პრემიერ ლიგის მოგება შეძლო. რანიერიც დიდწილად ამის გამო დასახელდა საუკეთესო მწვრთნელად, მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელ სეზონში მისი გუნდი ნამდვილად არ ბრწყინავს.

რანიერიმ განაცხადა, რომ მისთვის ეს ჯილდო უდიდესი პატივია და ყველა ფეხბურთელს მადლობა გადაუხადა შესრულებული სამუშაოსთვის.

ლესტერი ამჟამად პრემიერ ლიგაში 21 ქულით მე-15 ადგილზე იმყოფება.

## მათე ვაწაძე, შესაძლოა, ანორთოსისში აღმოჩნდეს

ქართველი თავდამსხმელი მათე ვაწაძე, რომელიც ბოლო პერიოდში უგუნდოდ იყო, შესაძლოა, კვიპროსის ანორთოსისში გადავიდეს, რომელიც ვაწაძის მიმართ ინტერესს იჩენს და ახლა მხოლოდ დეტალებზე შეთანხმებაა საჭირო.



ვაწაძემ კარიერის დიდი ნაწილი დანიურ ორჰუსში გაატარა, თუმცა შარშან მან ეს გუნდი დატოვა და საქართველოში დაბრუნდა, კერძოდ კი – თბილისის ლოკომოტივში, სადაც მცირე დრო დაჰყო.

ანორთოსისს ამჟამად არცთუ კარგი დრო უდგას და კვიპროსის ჩემპიონატში მე-9 პოზიციაზეა. ანორთოსისი ერთხელ გორის დილის მეტოქეც იყო ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე და მაშინ დილამ კვიპროსელები სტუმრად 3:0 დაამარცხა.

## მანჩესტერ იუნაიტედი–ლივერპულის მატჩის არბიტრი ცნობილია



15 იანვარს ინგლისის ჩემპიონატის 21-ე ტურის შეხვედრაში მანჩესტერ იუნაიტედი საკუთარ მოედანზე ლივერპულს მიიღებს. ეს შეხვედრა ინგლისში კლასიკურ დაპირისპირებად ითვლება და მას გულშემატკივარი უდიდესი ინტერესით ელის. საზოგადოებისთვის ყველა დეტალი საინტერესოა, მათ შორის შეხვედრის არბიტრიც, რომელიც ცნობილი მსაჯი მაიკლ ოლივერი იქნება.

ოლივერმა ადრეც იმსაჯა რამდენჯერმე ამ გუნდების მატჩები და ის ინგლისში დიდი პატივისცემით სარგებლობს.

მანჩესტერი-ლივერპულის შეხვედრა თბილისის დროით 20..00 საათზე დაიწყება.

## ბუენოს აირესში მესის ძეგლი დაამახინჯეს



არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში ლიონელ მესის ძეგლს თავს დაესხნენ და სერიოზულად დაამახინჯეს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა გახდა ამის მიზეზი და დამნაშავეებიც არ არიან დაკავებულნი.

არგენტინის საფეხბურთო ფედერაციამ განაცხადა, რომ მესის ძეგლს ჩაუტარდება რეკონსტრუქცია და ის ისევ ძველ ფორმას დაიბრუნებს.

არგენტინაში მესი ბევრს არ უყვარს და მას ხშირად აბრალებენ ნაკრების წარუმატებელ თამაშს.

თვითონ მესის ძეგლის დამახინჯებასთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა უდავოა, რომ მისთვის ეს ძალიან უსიამოვნო ინციდენტია.

## ფილიპე კოუტინიო მალე მოედანს დაუბრუნდება

ლივერპულის ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი ფილიპე კოუტინიო მალე მოედანზე დაბრუნდება. კოუტინიომ უკვე მთლიანად მოიშუშა ტრავმა და ის უკვე მზად არის სათამაშოდ.



ლივერპული ინგლისის თასის ნახევარფინალში 11 იანვარს საუთჰემპტონს დაუპირისპირდება და, შესაძლოა, ბრაზილიელი უკვე ამ შეხვედრაში ვიხილოთ მოედანზე.

კოუტინიომ ტრავმა 10 დეკემბერს ვესტ ჰემთან შეხვედრაში მიიღო და მას შემდეგ აქტიურად მკურნალობდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. პოპულარული სიმღერა, მუსიკალური ნაწარმოები; 2. ხარისხის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის ან პლატინის ნაკეთობაზე; 3. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 5. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 6. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 8. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. მარტის თვის ქართული სახელწოდება; 12. ღვინის ხის კასრების მკეთებელი ოსტატი; 14. ვაშლის ქართული ჯიში; 15. შიშით გამოწვეული მღელვარება; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი.

**თარაზულად**: 1. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 4. სხეულთა წონასწორობის შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 7. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 9. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 11. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 12. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 13. ჩვილი ბავშვის საწოლი; 17. ზომიერი კლიმატური სარტყლის ვრცელი ველების სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 19. სპორტის სათამაშო სახეობა; 20. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

